

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი
J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების
დეპარტამენტი

სსიპ ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მარიამ ჩხარტიშვილი

სახეები საქართველოს
წარსულიდან

მეომრის ბიბლიოთეკა №23

თბილისი
2008

თქვენს წინაშეა ახალი სერიის „მეომრის ბიბლიოთეკის“ ოცდამესამე წიგნი; სერია ითვალისწინებს წიგნების მთელ წყებას, რომლებშიც პოპულარულად იქნება გადმოცემული საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენები.

სერიის მიზანია ქართველი მეომრის და იმედია, არა მარტო მისი, პატრიოტული აღზრდა და ცოდნის მიწოდება მისაღებ ფორმებში. სერიაში გათვალისწინებულია პოპულარული, მაგრამ მაღალ პროფესიონალურ დონეზე დაწერილი სახელმძღვანელოები; ეს პატარა, მაგრამ ტევადი და კარგად გაფორმებული ბროშურები მიედგენება ქართველთა უდიდეს მეფე დავითს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ბაგრატ III-ს, საქართველოში წარმოებულ მთავარ და გადამწვევებ ბრძოლებს, XIX–XX სს-ის გამოჩენილ ქართველ ოფიცრებს, საქართველოსა და მსოფლიო სამხედრო ისტორიის ცალკეულ საკითხებსა და ა.შ.

სერიის გამოცემის ინიციატორები არიან ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი და საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.

დიდი სურვილი და იმედი გვაქვს, რომ მეომართა და ოფიცერთა გარდა, საქართველოს ყოველი მოქალაქე სიამოვნებით მიიღებს ამ სერიის ყოველ ახალ წიგნს.

სერიის გარეკანზე მოთავსებული წარწერა და დიდი დავითი ყველას შეახსენებს, რომ ბრძოლა საქართველოსთვის დღესაც გრძელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორის მიერ მრავალი დაკვირვება (მაგ.: ფარსმან ქველის ნაცვლად ფარსმან ავაზის წინ წამოწევა; განთქმული ძეგლის „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“-ს იოანე ზოსიმეს ნაცვლად რევისათვის მიწერა და ა.შ.) არ არის გაზიარებული ქართული ისტორიოგრაფიის მიერ. ამისდამიუხედავად, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება ავტორის ნააზრევის გაცნობა.

ვაჟა კიკნაძე

სერიის სარედაქციო კოლეგია: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

ვაჟა კიკნაძე

ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თამაზ ბერაძე

რეცენზენტი: ისტორიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი ვაჟა კიკნაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ლელია ხურცია**
ყდის დიზაინი: **გიორგი კიკნაძე**

რედაქტორი: **ნარგიზ ხარაბაძე**
ტექნიკური რედაქტორი: **მარი ჭონიშვილი**

დამტკიცებული და სამოქმედოდ შემოღებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის J7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო დეპარტამენტის უფროსის – პოლკოვნიკ ნოდარ ქვილითაიას მიერ

საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის
ტოპოგრაფიული სამმართველოს სტამბა. 2008 წ.

ქ. თბილისი, გენერალ კვინიტაძის ქ. №20

ტელ.: +995 32 91-19-83

ფაქსი: +995 32 91-19-83

წინათქმა

ფერმწერს თვალწინ გადაშლილი სინამდვილე შეუძლია ასახოს პეიზაჟით, ნატურმორტიტ, პორტრეტით. ასევეა ისტორიკოსიც. წარსულს იგი ხან ზოგადი პრობლემის კვლევით წარმოაჩენს, ხან – საგნობრივ-კონკრეტულით, ხან კი – პიროვნების ბიოგრაფიით, ისტორიული მოთხრობის ყველა ეს ფორმა თანაბრად ფასეულია მეცნიერებისათვის. ისინი გარდასული ეპოქების სხვადასხვა მხარეს გვიხატავს და სრულყოფილი ისტორიული რეკონსტრუქციისათვის გვიქმნის საფუძველს. თუ რომელ ჟანრში მუშაობას ირჩევს ისტორიკოსი, ეს მისი სტილის, მისი ხედვის გამოვლენაა.

ჩემთვის განსაკუთრებით ახლობელია მასალის წარმოდგენის ბიოგრაფიული ფორმა ანუ ისტორიული პორტრეტის ჟანრი. ჰუმანიტარული კვლევის საბოლოო მიზანი ხომ ადამიანის სულის შეცნობა და გამოხატვაა. პორტრეტით კი ეს ყველაზე უკეთაა შესაძლებელი.

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული პორტრეტი, როგორც სიტყვიერი პორტრეტი, წაგავს ლიტერატურულს, პირველი თვისობრივად განსხვავებულია უკანასკნელისაგან. მწერალი თავად ქმნის პერსონაჟის სახის შტრიხებს. ისტორიკოსმა კი უნდა მოიძიოს მის მიერ წარმოსახული პიროვნების პორტრეტის უკლებლივ ყველა დეტალი. აღნიშნულის განხორციელება, ცხადია, ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთი სურათის ფრაგმენტები მიმოფანტულია დროსა და სივრცეში ანუ როცა ინფორმაცია ქრონოლოგიურად დაშორებულ და ტიპობრივად არაიგივეობრივ ისტორიულ წყაროებშია დაცული.

„ჟამთააღმწერელი იმავედროულად პოეტიც უნდა იყოს“ – წერს ერთგან ნოვალისი*. ამ აზრის ჭეშმარიტება განსაკუთრებით საგრძნობია ისტორიული პორტრეტის წერისას. რა თქმა უნდა, ეს სიტყვები იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიულ პორტრეტში რაიმე შეიძლება პოეტური წარმოსახვის ნაყოფი იყოს. ცხადია, არა. ისტორიული პორტრეტი თავიდან ბოლომდე დოკუმენტური თხრობაა. პოეზია ისტორიკოსს „მოვლენათა ურთიერთდაკავშირების ნატიფ ხელოვნებას“ (ისევ ნოვალისი) ასწავლის, უადვილებს მას მოძიებული შტრიხების სწორად განლაგებას.

თხრობის ქრონოლოგიური ჩარჩო საკმაოდ დიდია: ძვ.წ. IV-III საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის VII საუკუნის დასაწყისამდე. წარმოდგენილია ძველი საქართველოს (როგორც წინარე ქრისტიანული ხანის, ასევე ქრისტიანული ეპოქის) მეფეების, სამეფო ოჯახის წევრების, ასევე ქართლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ერისმთავარის სტეფანოზ I პორტრეტები. მე ყურადღებას მივაპყრობ ფართო მკითხველისათვის შედარებით ნაკლებად ცნობილ ისტორიულ პერსონაჟებს ან უკვე საკმაოდ პოპულარულ მეფეთა ცხოვრების აქამდე უცნობ დეტალებს.

ფარნავაზი

„... იხილა ფარნავაზ სიზმარი:
რეცა იგი სახლსა შინა უკაცურსა,
და ეგულვებოდა განვლა და ვერ განვიდა.
მაშინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა
და მოერტყა წელთა მისსა მზისა,
და განიყვანა სარკუმელსა მას.
და ვითარ განვიდა, იხილა მზე ქუე-მდაბლად,
მიჰყო ხელი მისი, მოჰხოცა ცუარი პირსა მზისასა
და იცხო პირსა მისსა...“

„ცხოვრება ფარნავაზისი“

ცნობები ფარნავაზ მეფის შესახებ შემოგვინახეს ფეოდალური ხანის ქართული ისტორიოგრაფიის უმთავრესმა ძეგლებმა: „მოქცევაი ქართლისაი“ და „ქართლის ცხოვრებამ“. პირველ მათგანში ფარნავაზის მოღვაწეობასთან დაკავშირებული სულ ორიოდ ფაქტია აღნიშნული, მეორეში კი მას ეძღვნება მთელი თხზულება – „ცხოვრება ფარნავაზისი“. დასახელებულ ძეგლთა მონაცემები მარტოოდენ ინფორმაციის მოცულობით არ განსხვავდება, ისინი იგივეობრივი არ არიან შინაარსის მხრივაც. ორივე გენეტურად უკავშირდება უძველეს ქართულ ისტორიოგრაფიულ ტრადიციას, ოღონდ თითოეულში ამ ტრადიციის განვითარების სხვადასხვა ფაზაა აღბეჭდილი. უფრო ადრეული, საფიქრებელია, თავდაპირველი, ეტაპი დაფიქსირებულია „მოქცევაი ქართლისაიში“. შედარებით გვიანდელი ჩანს „ქართლის ცხოვრების“ „ფარნავაზიანი“, რომელშიც ისტორიული ფაქტების ფოლკლორიზაციის საკმაოდ ღრმა პროცესს ვხედავთ, თუმცა ამ უკანასკნელის წარმოშობაც, როგორც ეს დღეს სპეციალურ ლიტერატურაში დამაჯერებლადაა ნაჩვენები, ახ. წ. VI ს. არ გადმოსცილდება.

ქვემოთ აღნიშნულ წყაროთა მონაცემების ურთიერთშეჯერებისა და კრიტიკული ანალიზის შედეგების გათვალისწინებით, შევეცდებით ეპოქის ფონზე გამოვკვეთოთ ფარნავაზის სახე.

X X X

ძვ. წ. IV ს. II ნახევარი: დიდი საერთაშორისო ძვრების ხანა. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა შედეგად ირღვევა წარსულში ძლევამოსილი აქემენიდური ირანის იმპერია. მაკედონელის ლაშქრის ერთ-ერთმა მარბიელმა ნაწილმა ამიერკავკასიაშიც მოაღწია და ირანის გავლენისაგან გაათავისუფლა არიან-ქართლი.* არიან-ქართლის წინამძღოლის ძემ, აზომ ისარგებლა შექმნილი

ვითარებით, მაკედონელთაგან ზურგმომავრებულმა ილაშქრა ჩრდილოეთში და გამეფდა მცხეთაში. აზოსთან ბრძოლას შეეწირა მცხეთის მამასახლისი სამარა და მისი ძმა.

მალე აზომ შეიერთა დასავლურქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანებაც, ხარკი დაადო კავკასიელ მთიელებს. მთელ შემდგომ მოღვაწეობაში კი იგი ცდილობდა შეექმნა ერთიანი სახელმწიფო, სასტიკად ებრძოდა ადგილობრივ ხელისუფალთა დამოუკიდებლობას, „ყოველთა ქართლისა ქალაქთა მოარღვივნა ზღუდენი“.

თავისი პოლიტიკის გატარებას აზო არიან-ქართლიდან მოყვანილ, მასთან მჭიდროდ დაკავშირებულ პირებზე დაყრდნობით შეეცადა. ამასთან, ყოველმხრივ ავიწროებდა მცხეთელებს, სდევნიდა მათ შორის რჩეულთ, უკრძალავდა იარაღის ტარებას, რითაც ხაზს უსვამდა, ცხადია, ამ უკანასკნელთა, როგორც მოქალაქეთა მეორეხარისხოვნებას, არიან-ქართველებთან შედარებით. მცხეთელ ქართველთა რელიგიურ გრძნობებს უთუოდ შეურაცხყოფდა აზოს მიერ მცხეთაში მოტანილი მისი საგვარეულო კერპების – გაცისა და გას თაყვანისცემის დაკანონებაც.

ამ „ძნელი და მესისხლე“ კაცის უხეშ ძალადობაზე დამყარებულმა მმართველობამ, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის მეოთხედი საუკუნე გასტანა, ნაყოფი ვერ გამოიღო. ქვეყნის გამთლიანება ვერ მოხერხდა. აზოს მიერ განხორციელებულმა დისკრიმინაციამ კი, მოსახლეობის ფართო ფენებში მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია.

სწორედ ასეთ ვითარებაში მცხეთაში ფარულად მოვიდა მამასახლისი სამარას ძმისწული ფარნავაზი, რომელიც მამის დაღუპვის შემდეგ, სამი წლის ასაკიდან დედასთან და ორ დასთან ერთად მთებში იმალებოდა. ფარნავაზის დაბრუნება, რომელიც ამ ხანისათვის უკვე მოწიფული ვაჟკაცი ჩანს, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო: მას შური უნდა ეძია მამისა და ბიძისათვის, ამასთან, როგორც შთამომავალს „თავთა მათ ქართლისათა“, თვით ჰქონდა ქართლის გამგებლობაზე პრეტენზია.

მემატიანეს მინიშნებით, განგების ნებით ფარნავაზმა განძი იპოვა. ახალგაზრდა ტახტის მაძიებელს ამ სიმდიდრით ჯარის დაქირავება შეეძლო. ამით გამხნეებულმა, მან ქუჯის მიმართა, ჩანს, ასევე შევიწროებულ ეგრისელ (ე. ი. დასავლელქართველ) ხელისუფალთა შთამომავალს და აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მოკავშირეობა შესთავაზა. ქუჯიმ ითავა ეგრისიდან ურიცხვი ჯარის შეკრების პრაქტიკული საქმე. ძალი მოირთეს ხარკით შეწუხებულ კავკასიელ მთიელთაგან, თანამოაზრენი იშოვეს თვით აზოს უახლოეს პირთა შორისაც. გადამწყვეტ მომენტში ეს უკანასკნელნი განუდგნენ აზოს ისევე, როგორც მთელი დანარჩენი მოსახლეობა. ამიტომ იყო, რომ აზო შეთქმულთათვის წინააღმდეგობის გაუწევლად, სამხრეთში გაიქცა და თავის მამულში გამაგრდა. ფარნავაზი გახდა მთელი ქართლის გამგებელი, კლარჯეთის, ე. ი. აზოს მამულის, გამოკლებით. მეორე წელს ბერძნებისაგან გაძლიერებულმა აზომ შემოუტია ფარნავაზს, მაგრამ ფარნავაზმა უხმო ქუჯის, მთიელებს, ასევე მოიშველია უცხოელები. აზო დამარცხდა და ამ ბრძოლაში დაიღუპა.

ფარნავაზმა კი „დაიპყრა კლარჯეთი და წარმოვიდა მცხეთად სიხარულითა დიდითა, ხოლო სიმდიდრესა ზედა მისსა დაერთო ზუასტაგი* აზონისცა.“

რა თქმა უნდა, ფარნავაზმა აღადგინა მცხეთელ ქართველთა შელახული უფლებები, თუმცა ეს არ გაუკეთებია არიან-ქართველთა დაჩაგვრის ხარჯზე. არიან-ქართველები მან სახელმწიფოს სრულფასოვან მოქალაქეებად დატოვა, რაზედაც ის მეტყველებს, რომ ოფიციალურად აღიარებულ ღმერთთა პანთეონიდან არ განუდევნია მათი კერპები – გაცი და გა. არიან-ქართველთა ერთი ნაწილი კი, კერძოდ ისინი, რომლებმაც აზოს წინააღმდეგ ბრძოლაში მხარი დაუჭირეს, პრივილეგირებულ ფენად აქცია, „იპყრნა კეთილად“. თვისებრივად შეცვალა ურთიერთობა კავკასიელ მთიელებთან. მეხარკეების მაგიერ ისინი მოკავშირეებად გაიხადა, რაზედაც დანათესავება მიუთითებს ამ ხალხებთან: ერთი და ჩრდილოეთში გაათხოვა, თვითონაც „მოიყვანა ცოლი ღურძუკელთა, ნათესავი კავკასისი;“ დააკმაყოფილა ადგილობრივი ხელისუფალნიც, აღადგინა საერისთაოები, „ყოველნი ქალაქნი და ციხენი“, გულუხვად დააჯილდოვა ქუჯი; მას მისცა „ქუეყანა ეგრის წყალსა და რიონს შუა, ზღვითგან მთამდე, რომელსა შინა არს ეგრისი და სუანეთი, და დაამტკიცა იგი ერისთავად“. დაინათესავა ეგრისის ერისთავიც. „მეორე დაი თვისი მისცა „ქუჯის ცოლად“.

ამგვარად, ფარნავაზის მოღვაწეობის დასაწყისი თითქოს აჩვენებდა, რომ აზოს პოლიტიკის საპირისპირო პოლიტიკას ახალი მეფე იწყებდა, უფრო სწორად, უბრუნდებოდა მამასახლისობის პერიოდის მმართველობის ტიპს. ამის თაობაზე მოლაპარაკება ფარნავაზსა და მის მომხრეებს შორის თავიდანვე უნდა ყოფილიყო. ეტყობა, ამიტომაც იყო რომ, აზოს მეფობით შეწუხებულნი მისი გულშემატკივრები გახდნენ. ამასთან, თავიდანვე განსაზღვრული ყოფილა უფროს-უმცროსობაც: ფარნავაზს, როგორც „შვილს თავთა მათ ქართლისათა“ ეკუთვნოდა გამგებლობა. აი, რას ეუბნება ქუჯი ფარნავაზს ჯერ კიდევ ბრძოლის დაწყებამდე: „უკეთუ მოგუეცეს ძლევა, შენ ხარ უფალი* ჩუენი“.

მაგრამ პოლიტიკის რადიკალური ცვლილება მხოლოდ მოჩვენებითი შთაბეჭდილება იყო: ფარნავაზს ხელი არ აუღია აზოს მიზანზე – მოექცია მთელი ქართული მიწები ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში; რეალურად მან დაამყარა მმართველობა, რომლის დროსაც ადგილობრივ ხელისუფალთა მდგომარეობა სრულიადაც არ ემსგავსებოდა მამასახლისობის პერიოდში მათ სტატუსს. ამაზე თვალსაჩინოდ მეტყველებს ფარნავაზის გარდაცვალებისთანავე დაწყებული ქართველ ერისთავთა აჯანყება. ფარნავაზის რეჟიმით მათი უკმაყოფილება იმდენად დიდი ყოფილა, რომ აჯანყებულთ მისი ძის, საურმაგის მოკვლაც კი ჰქონიათ გადაწყვეტილი, რათა ძველი ვითარება აღედგინათ: „არა კეთილ არს ჩუენდა (ე. ი. ივარგებს – მ. ჩ.), რათამცა ვმსახურებდეთ ნათესავსა ჩუენსა, არამედ ვიყოთ ერთად და მოვკლათ ჩუენ საურმაგ, და ვიყვენით ჩუენ თავისუფალ, ვითარცა ვიყვენით პირველ (ე. ი. თავდაპირველად – მ. ჩ.)“. როგორც ჩანს, ფარნავაზის მეფობას მათი იმედები ვერ გაუმართლებია, უფლებები შეზღუდვით.

„თუენი გაზაფხულისანი და სთულისა* არისანი დაყენის (ფარნავაზ – მ. ჩ.) მცხეთას, სამეფოსა ქალაქსა; და თუენი ზამთრისანი დაყენის გაჩინათა, ზოლო თუენი ზაფხულისანი – წუნდას. და ჟამითი-ჟამად მივიდის ეგრისს და კლარჯეთს, და მოიკითხნის მეგრელნი (გვიანდელი ფორმაა, იგულისხმება ეგრისელნი – მ. ჩ.) და კლარჯნი, და განაგის ყოველი საქმე დაშლილი“.

აშკარაა, რომ თავისი ხანგრძლივი (სამოცდახუთწლიანი) მმართველობის ბოლოსათვის ფარნავაზმა მაინც შეძლო შეექმნა ერთიანი ქართული სახელმწიფო. ამ რთული ამოცანის გადაჭრისას, მან მართალია, დიდად ისარგებლა თავისი დამარცხებული წინამორბედის მონაპოვრებით (ქართლი, კლარჯეთი, ეგრისი პოლიტიკურად გაერთიანებული იყო, ადგილობრივ ხელისუფალთა ძლიერება კი, რეპრესიების შედეგად შერყეული), მაგრამ ქვეყანას სრულიად ახალი სუნთქვა შთაბერა, აზოს ხელში უმოძრაო სახელმწიფოებრივი მექანიზმი, შეიძლება ვთქვათ, რომ საოცარი სიმსუბუქით აამუშავა.

ეს იყო ძველადმოსავლური ტიპის ქვეყანა, გაღმერთებული მონარქით სათავეში: „და ამანვე ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა: ესე არს არმაზი, რამეთუ ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა და მიერთგან ეწოდა არმაზი კერპსა მისთვის.“

მეფის ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის იდეა, ტრადიციული იმდროინდელი მსოფლიოსათვის, ადრევე იჩენს თავს ფარნავაზის ცხოვრებაში. ამის დასტურია ზემოთ ეპიგრაფად მოყვანილი მისი სიზმარი, რომლის მიხედვით, ფარნავაზი „მზისცვარცხებულია.“ ფარნავაზის წარმატებული მეფობის ბოლოსათვის კი, ქართლში უკვე აღარავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ გვირგვინოსანი სვე-ბედისა, ე. ი. ზეგარდმო ძალების, მოვლენილი იყო: „იყო განსუენება და სიხარული ყოველსა ქართლსა ზედა მეფობისათვის ფარნავაზისა და იტყოდეს ამას ყოველნი: ვმადლობთ სუესა (ბედს – მ. ჩ.) ჩუენსა, რამეთუ მოგუეცა ჩუენ მეფე ნათესავთაგან მამათა ჩვენთასა“.

ფარნავაზმა თვისტომთაგან ყველაზე უწინარესად ქართული ეთნოსი მოიაზრა როგორც განსაკუთრებული, სხვათაგან განსხვავებული, ფენომენი, ამიტომაც სახელმწიფო შენობისათვის დულაბად გამოიყენა ქართული ენა, რომელიც გაავრცელა ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე და აქცია საყოველთაოდ: „განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა* სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ* ქართულისა“. ამგვარად, დღევანდელი სიტყვებით რომ ვთქვათ, ქართული თვითშეგნების ჩამოყალიბების პროცესი, რომელიც მის დრომდე უკვე დაწყებული იყო, შეუქცევადი გახდა და ეს ფაქტი წერილობით დააფიქსირა.

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე მხედარი და მწიგნობარი, ქართული ღმერთის პირველმხილველი, მის სამსხვერპლოზე პირველმწირველი, ქართული ენის შემატკობობარი“... ასე დაახასიათა ეპოქა არჩილ სულაკაურმა. აშკარაა, რომ „მზისცვარცხებული“ ფარნავაზით იწყება ქართველი ხალხის ისტორიული განვითარების უმნიშვნელოვანესი ეტაპი!

მოყვანილი ფაქტები ნათლად წარმოაჩენს ფარნავაზს არა მარტო როგორც სახელმწიფო მოღვაწეს, არამედ როგორც პიროვნებასაც. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის, რომ მემატთანე განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფარნავაზის სვლას ხელისუფლებისაკენ. ფარნავაზს ხომ სამეფო ტახტი მამისაგან არ მიუღია მემკვიდრეობით, ბრძოლით მოიპოვა. ამ ბრძოლაში ჩანს იგი სწორედ მთელი სიგრძე-სიგანით – გონიერი და ენერგიული, ძლიერი სულით, ჩაუქი ფიზიკურად, მიზანსწრაფული...

ფარნავაზს ჰქონდა დიდი პოლიტიკური ალლო, რეალიზმის გამახვილებული გრძნობა. მისთვის უცხო იყო გაბოროტება, უაზრო სისხლისღვრის სურვილი. გამბედაობა ეძლეოდა არა მარტო ბრძოლაში გახურებულს, შეეძლო ცივი გონებით სიკვდილისათვის თვალეში ჩაეხედა: მცხეთაში დაბრუნებული დაუახლოვდა მოსისხლე მტერს დაუნდობელ აზოს, მასთან ერთად ნადირობდა, თუმცა ყოველ წამს შეიძლებოდა გამხელილიყო მისი ვინაობა. თამამი მიზნებისა და პოეტური სიზმრების მიუხედავად, იდელისტი არ იყო, კარგად ესმოდა, რომ დიდ პოლიტიკას დიდი მატერიალური სახსარიც სჭირდებოდა. მემატთანის მიხედვით, მას შეეძლო ამ სახსრის შოვნაც, მისი რაციონალური გამოყენებაც.

„ესე ფარნავაზ იყო კაცი გონიერი, მხედარი შემმართებელი და მონადირე ხელოვანი... ესე ყოველი აღასრულა ფარნავაზ სიბრძნითა და სიქუელითა, სიმხნითა და სიმდიდრითა“.

და აი, ამ თვისებების მქონე პიროვნებამ „ყოველნი დღენი მისნი რაი დაჯდა, მშვიდობით დაყვნა, და აღაშენა და განავსო ქართლი“.

X X X

ლეონტი მროველის ცნობით, ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ, მირიანმა თავისი მოღვაწეობის დასაწყისშივე „შეამკო საფლავი ფარნავაზისი“. ქვეყნის ბედზე საგანგებოდ დაფიქრებული, მის ახალ გზაზე გამომყვანი პიროვნების აღნიშნული ქმედება არაა შემთხვევითი ისევე, როგორც არ შეიძლება შემთხვევითი იყოს თავად ფაქტი – ახ. წ. IV ს. დამდეგამდე ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე მოღვაწის საძვალის შენახვა. უკვე მაშინ, ფარნავაზი ქართველობის სიმბოლოდ აღიქმებოდა. მისი სამუდამო განსასვენებლის თაყვანისცემა, ერის წინაშე დადებული თავისებური ფიცი იყო...

„დაფლეს წინაშე არმაზისა კერპისა“ – გვამცნობს მემატთანე. სამწუხაროდ, დღეს ზუსტად აღარ ვიცით ეს ადგილი, უნდა მოვნიშნოთ მიახლოებით; არავითარი საგანგებო შემკობა საჭირო არ იქნება. ძვირფასი საფლავისათვის უბრალო ქვაა საკმარისი, ეპიტაფია კი მზად არის:

„ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლისა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. ამან განავრცო ენა ქართული, და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თჳნიერ ქართულისა. და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“.

ფარსმან ქველი და ფარსმან ავაზი

„დასხდიან მგოსანნი გლოვისანი“

„მოქცევაი ქართლისაის“ ე. წ. შატბერდული რედაქცია ქართლის წარმართ მეფეთა ქრონიკით იწყება, რომელიც მოიცავს ძვ.წ. IV – ახ.წ. IV საუკუნეებს. ქრონიკის პირველწყაროდან მომდინარეობა ეჭვს არ იწვევს, მაგრამ რამდენადმე მთლიანი ისტორიული სურათის შექმნა მარტოოდენ მასზე დაყრდნობით შეუძლებელია, თხრობის მეტისმეტი სიმოკლის გამო. „მოქცევაი ქართლისაის“ აღნიშნული მონაკვეთი ჩვენს ცნობისმოყვარეობას უფრო აღვივებს, ვიდრე აკმაყოფილებს. ავიღოთ თუნდ შემდეგი მცირე ტექსტი: „და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ¹ ფარსმან ავაზ“. ვინ იყვნენ ეს პიროვნებანი, რომელთა მეტსახელები საუკუნეთ შემორჩა?

„ავაზი“, „ვეფხი“, „ჯიქი“ ძველქართულში სინონიმური გამოყენების სიტყვებია. „წმიდა წერილში“ წინასწარმეტყველები ხშირად მიუთითებენ ამ მტაცებელ ცხოველთა თვისებებზე, კერძოდ, აღნიშნავენ მათ არაჩვეულებრივ სისწრაფეს, ჩვეულებას მუხანათურად ჩაუსაფრდეს მსხვერპლს, სისხლისმსმელობას, სისასტიკეს. დანიელ წინასწარმეტყველის მიხედვით (VII, 6), „ავაზი“ ძალაუფლების სიმბოლოა. იერემია წინასწარმეტყველთან (XIII, 23) იგი გვევლინება გაუსწორებელი ბოროტების სახედ. იოანეს „გამოცხადებაში“ (XIII, 2), აღნიშნული ცხოველი წარმოდგენილია, როგორც ანტიქრისტი.

ამგვარად ირკვევა, რომ „ავაზი“ – ესაა ძველი ეპოქის ღრმა სიმბოლური შინაარსის მქონე სიტყვა. ამიტომ, როგორც ეპითეტი, იგი საოცრად მეტყველია. მისი მეშვეობით ცოცხლად წარმოგვიდგება „ამიერ“ მოღვაწე ფარსმანი: მუხანათი და დაუნდობელი, სასტიკი, სისხლის მოყვარე, ძალაუფლების მოყვარე მმართველი. ფიზიკურად მკვირცხლი და ჩაუქი.

„ქველი“ ძველქართულად „მამაცი“, „გულადი“, „მხნე“, აგრეთვე, „კეთილი“, საფიქრებელია, რომ „ამიერ“ მეფის ეპითეტში აქცენტირებულია სიტყვის უკანასკნელი მნიშვნელობა, რომ „ფარსმან ქველი“ იგივეა, რაც „ფარსმან კეთილი“, რადგან აშკარაა: თანადროულად, ფაქტობრივ ერთმანეთის გვერდიგვერდ მოღვაწე სეხნიათა მეტსახელები ამ პიროვნებათა განმასხვავებელ ნიშნებს უნდა წამოსწევდეს. საინტერესოა, რომ ქრისტიანული კულტურის კონტექსტში ბუნებრივია შეპირისპირება: ავაზი ავიწროებს ქურციკს, რომელიც უწყინარია და, ამდენად, სიკეთის სიმბოლოა.

ამრიგად, ერთი ფარსმანი ყოფილა უწყინარი და კეთილი, მეორე – უკეთური, დაუნდობელი. ამასთან, სიმამაცე, ფიზიკური მხნეობა არცერთი მათგანისათვის არ გამოირიცხება; ორივე ეპითეტი ამასაც გულისხმობს. ასეთია ის ინფორმაცია, რომელიც მოცემულია ზემოთ ციტირებულ მიკროტექსტში,

¹ „ამიერ“ და „ამიერ“ ამ შემთხვევაში გულისხმობს მტკვრის გაღმა, გამოღმა ორ რეზიდენციას, მცხეთას და არმაზს.

ეპითეტებში „ქველი“ და „ავაზ“. ახლა ვნახოთ რა მონაცემებს შეიცავს სხვა წყაროები ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე პასუხის გასაცემად.

ლეონტი მროველი XI ს. ისტორიკოსი, რომელსაც „ქართლის ცხოვრებაში“ ეკუთვნის შესაბამისი ისტორიული პერიოდის აღწერილობა, ფარსმან ავაზს საერთოდ არ ახსენებს. ფარსმან ქველის შესახებ კი, ვრცლად გვესაუბრება. მისი სიტყვით, ეს მეფე იყო „კაცი კეთილი და უხუად მომნიჭებელი და შემნდობელი, ასაკითა შუენიერი, ტანითა დიდი და ძლიერი, მხნე მხედარი და შემმართველი ბრძოლისა, უშიშარი ვითარცა უხორცო“.

იგი იჯდა ქალაქ არმაზში. მისი თანამედროვე მცხეთელი მეფის, მირდატის ქვეშევრდომებიც უფრო მეტად ფარსმან ქველს ემზრობოდნენ. მირდატი კი ყოფილა „კაცი ურვილი* და მესისხლე“. მას ჩაუფიქრებია მზაკვრული გეგმა: სურდა თურმე მუხანათურად მოეკლა ფარსმან ქველი წვეულებაზე. ფარსმან ქველისათვის ღროულად უცნობებიათ ხიფათის შესახებ. იგი მირდატს განერიდა, მაგრამ აღნიშნული ფაქტის შემდეგ მეტოქეთა შორის სამხედრო დაპირისპირება გარდუვალი გამხდარა. ფარსმან ქველს სომხები მომზრობდნენ, მირდატს – სპარსელები. მრავალჯერ იძლია ეს უკანასკნელი, განიდევნა ქვეყნიდან პირველის მიერ. ფარსმან ქველს, მეტოქეს დადევნებულს, სპარსეთის რბევაც დაუწყია. მტრებს პირისპირ ბრძოლით მისთვის ვერაფერი მოუხერხებიათ, ამიტომ მოუსყიდიათ მზარეული, რომელმაც ფარსმანი მოწამლა.

„განსაკუთრებით ტიპიურია ისტორია ფარსმან ქველისა, რომელიც შეტანილია ლეონტი მროველის თხზულებაში და რომელიც ცალკე დამთავრებულ ეპიკურ* მოთხრობას წარმოადგენს, დაწერილს საგმირო რომანის კოლორიტული სტილით“ – შენიშნავს პავლე ინგოროყვა. მართლაც, უდავოა, რომ ლეონტის ტექსტის ამ მონაკვეთს ეტყობა ფოლკლორული არქტიპის* ძლიერი გავლენა. საკმარისია ითქვას, რომ ფარსმან-მირდატის ომები გამოჭრილია ეპიკურ ბუმბერაზთა შერკინების ტრადიციულ თარგზე. ამის გამოძახილი უნდა იყოს ხალხის საყვარელი გმირის მოწამვლის მოტივიც. ხალხურ შემოქმედებასთან, კერძოდ, ე. წ. „ნატირლებთან“ კავშირს პირდაპირ მიუთითებს ფარსმან ქველზე ლეონტის მოთხრობის ბოლო ფრაზები: „და ესრეთ მოკლა ფარსმან მეფე ქუელი, მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთგან ვიდრე გლახადმდე. და იტყებდეს (თავში ირტყამდენენ – მ. ჩ.) ყოველნი თავთა თვსთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი და შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქუელესა და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“.

აღნიშნული ტიპის ტექსტი, როგორც ცნობილია, წარმოიშვება ისტორიული მოვლენის საფუძველზე. იგი ისტორიული მოვლენის უშუალო გამოძახილია; მაგრამ ღროთა ვითარებაში ტექსტში დაფიქსირებულ დეტალთა ერთი ნაწილი იკარგება, ნაწილს კი ფაქტების ეპიკური პოეტიზაციის შედეგად იმდენად ეცვლება სახე, რომ საკონტროლო მასალის გარეშე, მარტოოდენ მათზე დაყრდნობით, შეუძლებელი ხდება წარსული სინამდვილის აღდგენა.

საქმე ისაა, რომ (ეს გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში) ხალხის მეხსიერებისათვის არსებითია მოთხრობის ემოციური მხარე, იგი შედარებით თავისუფლად ექცევა, ამ თვალსაზრისით, მეორეხარისხოვან მონაცემებს. ამიტომაც, რომ ეპოსი, არცთუ იშვიათად, იჩენს რა არაისტორიულ მიდგომას დროისადმი, ერთ სიუჟეტში ათავსებს სხვადასხვა ეპოქის მოვლენებს. ნიშანდობლივია, რომ სპეციალისტებს უძნელდებათ ლეონტიუსული ფარსმან ქველის კონკრეტულ ისტორიულ პირთან გაიგივება და მას ანტიკური ხანის ქართლის ძლევა მოსილ მეფეთა კრებით სახედ მიიჩნევენ.

ამრიგად, აშკარაა, რომ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად, მიუხედავად საკმაო მოცულობისა, ლეონტი მროველის მიერ მოწვდილი ინფორმაცია კრიტიკული შეფასების გარეშე არ გამოგვადგება. „ქართლის ცხოვრებისეული“ ფარსმან ქველი ეპიკური სახეა და არა ისტორიული პორტრეტი. აქ, როგორც ითქვა, შეიძლება დაცული იყოს ზოგიერთი ნამდვილი ფაქტი, მაგრამ ასეთ მონაცემთა გამოვლენა და მთლიან კონტექსტში ჩასმა თავად მოითხოვს დამატებით ცნობებს.

ჩვეულებრივ, „მოქცევაი ქართლისაის“ წარმართ მეფეთა ქრონიკის ინფორმაციის შესავსებად, „ქართლის ცხოვრების“ გარდა, მიმართავენ ბერძნულ-ლათინურ წყაროებს. ფარსმან ავაზის ამ ძეგლებში მოხსენიებულ ანალოგიური სახელის მქონე პირებთან გაიგივების პრობლემა, ჩვენს მეცნიერებაში არასოდეს დასმულა. ფარსმან ავაზი სპეციალისტთა ყურადღების მიღმა დარჩა. რაც შეეხება ფარსმან ქველს, პავლე ინგოროყვას აზრით, ესაა ქართლის ის მეფე (ფარსმან III), რომელიც II ს. 30-იან წლებში მოხსენიებული ჰყავთ რომაელ ავტორებს ფლავიუს არიანეს, დიონ კასიუსს, ელიუს სპარტიანეს, იულიუს კაპიტოლინეს. ეს პიროვნება რომის იმპერატორების ადრიანესა (117-138 წწ.) და ანტონინე პიუსის (138-161 წწ.) თანამედროვე იყო.

ამჟამადაც, არსებითად ეს თვალსაზრისია გაზიარებული. ოღონდ აღნიშნულ წყაროებში დადასტურებულ მეფეს თანამედროვე მკვლევრები იხსენიებენ, როგორც ფარსმან II. ეს პიროვნება ძლევა მოსილი ხელისუფალია. იგი რომს კადნიერად არ ემორჩილება, ატარებს მისგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, რის შედეგადაც, აფართოებს კიდევ ქვეყნის საზღვრებს. მისი ნაგვიანევი ვიზიტი რომში დიდ მოვლენად აღიქმება; აქ მას საგანგებო პატივს მიაგებენ. სერაფიმის ცნობილ ორენოვან (არამეულ-ბერძნული) ეპიტაფიაში მეფე ფარსმანი მოხსენიებულია, როგორც „მძლეთა მძლეველი.“ მას აღუსრულებია ის საქმენი, რაც ვერ მოასწრო პირველი ქართული ეროვნული სახელმწიფოს შემქმნელმა მეფე ფარნავაზმა²

მაგრამ ჩვენი აზრით, ზევით დასახელებულ უცხოურ წყაროებში მოხსენიებული ფარსმანის გაიგივება „მოქცევაი ქართლისაის“ წარმართ მეფეთა სიის ფარსმან ქველთან არ შეიძლება. ამას მაფიქრებინებს ორი გარემოება.

უპირველეს ყოვლისა, ესაა რომაულ წყაროებში, ერთი მხრივ, და მეორე მხრივ, „მოქცევაი ქართლისაის“ წარმოდგენილი პიროვნებების განსხვავებული

² აღნიშნული ძეგლის ახალი ინტერპრეტაცია ეკუთვნის აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძეს.

პოლიტიკური სახე. ნათქვამის განმარტებისათვის რამდენადმე ვრცლად შევეხოთ ეპოქას.

როგორც აღინიშნა, ფარსმან ქველი და ფარსმან ავაზი თანამეფენი არიან. მათი მოღვაწეობა უკავშირდება ანტიკური ქართლის ისტორიის იმ სპეციფიკურ პერიოდს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ორმეფობის სახელწოდებით არის ცნობილი. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ორმეფობა ქართლში დაიწყო ძვ.წ. II ს. I ნახევარში.³ ერთი მეფე იჯდა არმაზში, მეორე – მცხეთაში. დასახელებულია „თანამეფეთა“ ექვსი წყვილი. მეხუთე წყვილია ჩვენთვის საინტერესო ფარსმანები. როგორც ითქვა, ფარსმან ქველი არმაზელია, ფარსმან ავაზი – მცხეთელი:

„და მეფობდა როკ, რომელმან რაითურთით მცხეთაი გაიშორა და მეფობაი ორად გაიყო. ორნი მეფენი დასხდეს იმიერ და ამიერ.

და მეფობდა ქარძამ არმაზს და მცხეთას ბრატმან. და ამათთა ჟამთა ჰურიანი მოვიდეს მცხეთასა და დასხდეს.

და მეფობდა იმიერ ფარსმან და ამიერ კაოზ.

და მეფობდა იმიერ არსოკ და ამიერ ამაზაერ.

და მეფობდა იმიერ ამაზასპ და ამიერ დერუკ.

და მეფობდა იმიერ ფარსმან ქველი და ამიერ ფარსმან ავაზ.

და მეფობდა იმიერ როკ და ამიერ მირდატ. და ამის ზე მოაკლდე არმაზი სამეუფოი და მცხეთას ოდენ იყო მეფობაი.

და მეფობდა ლადამი და დღე :კ:.

და ფარსმან“.

მკვლევრები ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ძველსომხურ თხზულებაში, ე.წ. „სომხურ გეოგრაფიაში“ (VII ს.) გოგარენეს საზღვრები, ერთი მხრივ, ზუსტად იმეორებს ბერძენი ავტორის, სტრაბონის (ძვ.წ. I – ახ.წ. I სს.) თხზულებაში აღწერილი ძვ.წ. II ს. I ნახევარში სომხეთის რაიონების საზღვრებს, მეორე მხრივ, ემთხვევა არმაზის სამეფოს ტერიტორიას, როგორც მას მოხაზავს ლეონტი მროველი („არმაზით კერძო ქალაქი, მტკუარსა სამხრით ქართლი ხუნანითგან ვიდრე თავადმდე მტკუარსა და კლარჯეთი ყოველი“). ამრიგად, ქართლში ორმეფობის დასაწყისი, დროში თანხვდება გოგარენეს (იგივე იბერიის) საპიტიახშოს შექმნის ფაქტს, არმაზის სამეფოს საზღვრები იგივეობრივია ამ საპიტიახშოს საზღვრებისა. ეს დამთხვევები, ცხადია, შემთხვევითი არ შეიძლება იყოს. აშკარაა, რომ სხვადასხვა წყაროში დაფიქსირებულ ერთი და იმავე მოვლენასთან გვაქვს საქმე. ორმეფობა ძველ ქართლში უნდა გავიგოთ, როგორც ქართლის ტერიტორიაზე სომხეთთან დაკავშირებული პოლიტიკური ერთეულის ჩამოყალიბება, ადგილობრივი

³ ამ თარიღის გამოთვლა ეკუთვნის აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს. საქმე ისაა, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ პირდაპირ ქრონოლოგიურ მონაცემებს არ შეიცავს და ამ რიგის ინფორმაციის ამოღება მისგან შესაძლებელია სპეციალური კვლევის შედეგად.

დინასტიის წარმომადგენელი მმართველებით სათავეში.⁴ ძველი ქართული ისტორიოგრაფიის მიერ, აღნიშნული მოვლენის გააზრება სრულიად ლოგიკურია: ქართველთათვის მეფობა, მართლაც, ორად გაიყო: არმაზელი ხელისუფალი მცხეთაში მეფეს აღარ ემორჩილებოდა.

ამ მსჯელობის შემდეგ, ცხადი ხდება, რომ ფარსმან ქველი, ფაქტობრივ, მონაპირე პიტიანშია. შეუძლებლად მიმაჩნია, რომ საერთაშორისო თვალსაზრისით, ეს უმნიშვნელო პოლიტიკური მოღვაწე გავაიგივოთ ქართლის იმ „მძლეთა მძლეველ“ ხელისუფალთან, რომელსაც რომში ქანდაკება დაუდგეს.

ტრადიციული გაიგივების საწინააღმდეგოდ მეტყველებს ქრონოლოგიაც. როგორც ითქვა, „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიულ ქრონიკას თარიღები არ ახლავს. ცალკეულ მეფეთა ზეობის დაახლოებით განსაზღვრა ირიბი მონაცემებით ხერხდება. „წმ. ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში მითითებულია, რომ ქრისტეს ჯვარცმის თანამედროვე მცხეთელი მეფე იყო ამაზაერი. როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატიდან ჩანს, ეს ამაზაერი „თანამეფეთა“ მესამე წყვილის ერთ-ერთი წევრია და ჩვენთვის საინტერესო ფარსმანებს სულ ერთი წყვილით უსწრებს წინ. ამრიგად, „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, ფარსმან ქველი (ისევე როგორც ფარსმან ავაზი) I ს. შუა ხანების მოღვაწეა. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ასევე შეუძლებელია ფარსმან ქველის გაიგივება რომის იმპერატორების, ადრიანესა და ანტონინე პიუსის თანამედროვე ქართლის მეფე ფარსმანთან.

უცხოური წყაროები ქართლის მეფეს სახელად *ფარსმან* ახსენებენ I ს. შუა ხანებშიც, 30-50-იან წლებში. ეს ფარსმანი ისეთი ძლევამოსილი არაა, როგორც II ს. I ნახევარში მოღვაწე მისი სეხნია, მაგრამ არც ისე სუსტი ჩანს, რომ იგი არმაზელ მეფედ ანუ მონაპირე პიტიანშიად წარმოვიდგინოთ. მართალია, გარკვეული სიფრთხილით, მაგრამ დაჟინებით ეს ფარსმანი ცდილობს რომისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარებას. რაც შეეხება სომხეთს, ამ ქვეყნის ტახტის დაუფლებისათვის ის ხანგრძლივად და შეუპოვრად იბრძვის. მის ერთ-ერთ ძეს მითრიდატე ჰქვია. სწორედ ეს მითრიდატე ხდება ფარსმანის ტახტის მემკვიდრე.

ამ მონაცემების მიხედვით, მიგვაჩნია, რომ უცხოურ წყაროებში ფარსმანი იგივე „მოქცევაი ქართლისაის“ მიერ დასახელებული „ამიერ“ გამეფებული ფარსმან ავაზია. როგორც ვთქვით, ფარსმან ავაზიც I ს. შუა ხანების მოღვაწეა.

ჩვენი აზრით, რაც შეეხება ფარსმან ქველს, მისი ხსენება რომაულ წყაროებში არ ჩანს. ეს იოლი ასახსნელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ რეალურად ფარსმან ქველი უმნიშვნელო პოლიტიკური ფიგურა იყო. მისი ძლევამოსილობის შესახებ თხრობა, ფოლკლორულ წყაროზე დაყრდნობით უნდა შეექმნა ლეონტი მროველს. ამ თხრობის გავლენითაა, რომ თანამედროვე ქართველოლოგიაში, ფარსმან ქველად შეცდომით მიიჩნევენ იმ პიროვნებას, რომლის დროს ანტიკური ქართლი თავის ძლიერების ზენიტს აღწევს.

⁴ ეს თვალსაზრისი ეკუთვნის დ. აბაშიძეს. ანალოგიური შეხედულება აქვს გამოთქმული გ. მამულას.

„აქ ვაჟკაცებია, იქ კი – დავლა“

რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი (55-116 წწ.) წარმოგვიდგენს I ს. შუა ხანებში მოღვაწე ქართლის მეფის ფარსმანის შთამბეჭდავ დახასიათებას. ამ ცნობების საფუძველზე ვრწმუნდებით, რაოდენ ზუსტია ქართულ სინამდვილეში ამ პიროვნებისათვის შერქმეული მეტსახელი „ავაზ“.

თავდაპირველად ტაციტუსი ფარსმანს ახსენებს სომხეთში მისი ძმის მითრიდატეს რომაელთა მხარდაჭერით გამეფების ფაქტზე საუბრისას, რომაელები გამოსულან ძმების შერიგების ინიციატივით. ე. ი. საფიქრებელია, რომ მათ მაინცდამაინც კარგი ურთიერთობა ამ დროისათვის არ ჰქონდათ. ესაა I ს. 30-იანი წლები. სომხეთის მიმართ თავიანთი პრეტენზიები ჰქონდათ პართელებს, სომხეთის ტახტი მითრიდატემდე თავისუფალი არ იყო. ქართველები შეიჭრებიან სომხეთში, დაიპყრობენ მის გარკვეულ ნაწილს. პართიის* მეფე არტაბანი თავის ძეს, ოროდს დაავალებს სამაგიერო მიაგოს მომხდურთ. ორივე მხარე, დამხმარე ძალად დაიქირავებს სარმატებს,* მაგრამ ფარსმანი ჩრდილოეთიდან მხოლოდ თავის მომხრე სარმატებს შემოუშვებს, ოროდი დამხმარე ძალის გარეშე რჩება. ტაციტუსი გვიჩვენებს, რომ გადამწყვეტი საომარი მოქმედების დაწყებამდე, ფარსმანი ქმნიდა სათანადო ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს. აი, რას მოგვითხრობს ტაციტუსი: „ამასობაში, მოკავშირეს მოკლებულ ოროდს დამხმარე ჯარით გაძლიერებული ფარსმანი საბრძოლველად იწვევს და რაკი იგი თავს იკავებს, თავს ესხმის. ამხედრებული მიადგება ბანაკს, არბევს საფურაჟე ადგილებს და ხშირად ალყის მსგავსად არტყამს საგუშაგოებს, ვიდრე პართელებმა ველარ აიტანეს შეურაცხყოფა, შემოეხვივნენ მეფეს და მოითხოვეს ბრძოლა.“ მოკლედ, ფარსმანი სულიერად აძაბუნებს მტერს, თავისი ბრძოლის გეგმას ახვევს მას თავს და აიძულებს ომი დაიწყოს არახელსაყრელ პირობებში. პართელები ცხენოსნები იყვნენ. ფარსმანს კი ქვეითი ჯარიც ჰყავდა. იგი კარგად იცნობდა გარემოს. ტაციტუსს მოაქვს ფარსმანის სიტყვის ფრაგმენტი, რომელიც წარმოთქმული იყო ლაშქრის წინაშე ბრძოლის დაწყებამდე. თავის მეომრებს მიუთითებდა რა ოქროქსოვილით შემოსილ პართელთა ჯარზე, ფარსმანი ამბობდა: „აქ ვაჟკაცებია, იქ კი – დავლა“ (ამ ფრაზის თარგმანი მომყავს პ. ინგოროყვას მიხედვით – მ. ჩ.).

პართელებმა ვერ შეძლეს თავიანთი ტაქტიკა განეხორციელებინათ. სარმატების დაწყებულ საქმეს ქართველები და ქართველთა ჯარში მყოფი ალბანელები* აბოლოკებენ. ოროდიცა და ფარსმანიც მოწინავე ხაზზე იბრძოდნენ და მეომრებს ამხნევებდნენ. უცებ, მათ ერთმანეთი შენიშნეს და ხმამაღალი შედახილით გაექანენ შესაჭიდებლად. ფარსმანმა დაასწრო, გაუპო ოროდს მუზარადი და დაჭრა, მაგრამ ამის შემდეგ დაჭრილი ცხენმა გააქანა და თანაც, უმამაცესმა მხედრებმა დაიფარეს. ფარსმანმა განმეორებითი დარტყმა ველარ შეძლო. მართალია, ოროდი გადარჩა, მაგრამ ხმა გავრცელდა რომ პართელთა მხედართმთავარი დაიღუპა. ამან იმოქმედა ჯარის საბრძოლო განწყობაზე, პართელები დამარცხდნენ.

ასეთად წარმოგვიდგება ფარსმანი ბრძოლაში. როგორც ვხედავთ, იგი მოქნილია, სწრაფი, შეუპოვარი.

ტაციტუსი გვამცნობს, რომ ფარსმანს შემდგომშიც მოუწია ბრძოლაში სომხეთისათვის. საქმე ისაა, რომ I ს. 40-იან წლებში რომაელებმა მითრიდატე დააპატიმრეს. მითრიდატესათვის სომხეთის დაპყრობა ხელახლა გახდა საჭირო. მან ძმას მიმართა. მითრიდატე, მართლაც, ფარსმანის დახმარებით კვლავ დაეუფლა სომხეთის ტახტს. მაგრამ ურთიერთობა ძმებს შორის კვლავ დაიძაბა. ამის მიზეზი გახდა ფარსმანის ძე რადამისტი, რომელიც, ტაციტუსის სიტყვით, გამორჩეული იყო ფიზიკური ძალითა და მომხიბვლელით, აგრეთვე განათლებით. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობდა არა მარტო თავის ქვეყანაში, არამედ მეზობლებშიც. რადამისტი აშკარად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მამის მმართველობის გამო, მიუთითებდა, რომ მოხუცებული მეფის ხელში ქართლს არ ჰქონდა თავისი შესაფერი დიდება.

ტაციტუსის შემდგომი მონათხრობი გვაფიქრებინებს, რომ რადამისტის გამომწვევი ქცევა პოლიტიკური თამაში იყო, რომელიც თვით ფარსმანის მიერ იყო დაგეგმილი. მას აშინებდა „ხალხის მხარდაჭერით შეგულიანებული“ საკუთარი ძე და ცდილობდა მისი ენერგია სხვა ქვეყნის ტახტის მოპოვებისაკენ მიემართა: ფარსანმა „ჭაბუკს სხვა იმედი შთააგონა და არმენიისაკენ მიუთითა, გაიხსენა რა, (რომ – მ. ჩ.) პართიის გაძევების შემდეგ, თვით მანვე რომ მისცა იგი (არმენია – მ. ჩ.) მირდატს; ოღონდ შვილს ურჩია ძალის გამოყენებისაგან თავი შეეკავოთ, უფრო მზაკვრობა გამოვიყენოთ, რათა უდარდელად მყოფი მირდატი ანაზღეული თავდასხმით დავამარცხოთო. ამგვარად, რადამისტი, რომელსაც ვითომცდა მამასთან უთანხმოება მოუვიდა, რადგან დედინაცვლის სიძულვილს ვეღარ გაუძლო, ბიძას მიაშურებს. მითრიდატმა დიდი ალერსით მიიღო იგი, როგორც საკუთარი შვილი. ამან კი არმენიელთა წარჩინებულებს დაუწყო შეგულიანება სახელმწიფო გადატრიალების მოსახდენად ისე, რომ მირდატმა არათუ ვერაფერი შეიტყო, არამედ უფრო მეტი პატივითაც ეპყრობოდა. ვითომცდა შერიგება მინდაო, რადამისტი მამასთან დაბრუნდა და აცნობა, რაც მზაკვრობით შეიძლება გაკეთებულიყო, გაკეთებულია, დანარჩენი იარაღით უნდა აღსრულდესო. ამასობაში ფარსმანმა ომის საბაბიც მოიგონა: „ალბანთა მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში რომაელების დასახმარებლად რომ მოვუწოდე, ძმამ წინააღმდეგობა გამიწია და ამ წყენისათვის ვილაშქრებ მის დასარბევადო და ამასთან ერთად, ვაჟიშვილს დიდი ლაშქარი მისცა“.

როგორც ვხედავთ, ფარსმანი მოქნილია არა მარტო ხელჩართულ ბრძოლაში. მას შეუძლია დაგეგმოს მრავალსვლიანი პოლიტიკური ავანტიურები. მაგრამ დავუბრუნდეთ ჩვენი საუბრის თემას.

მოულოდნელობისაგან თავზარდაცემულმა მითრიდატემ გარნისის* ციხე-სიმაგრეს შეაფარა თავი, რომელსაც რომაელთა გარნიზონი იცავდა. რადამისტს ციხე-სიმაგრის ძალით აღება არ შეეძლო. სხვათაშორის, ტაციტუსი შენიშნავს, რომ ერთადერთი, რასაც ვერ ახერხებენ ბარბაროსები*, ციხე-სიმაგრეთა აღებაა. ამიტომ, რადამისტი ცდილობს მოისყიდოს ციხის პრეფექტი. ცენტურიონი (ციხის უფროსი – მ. ჩ.) სასტიკად ეწინააღმდეგება ამას. იგი გაეშურება

ფარსმანთან და მოითხოვს მისგან, რომ რომაელთა მფარველობის ქვეშ მყოფ მითრიდატეს თავი დაანებოს. ფარსმანი მას აყოვნებს ბუნდოვანი, კეთილგანწყობილი პასუხებით, ჩუმად კი თავისი წარგზავნილების პირით, შვილს საქმის ჩქარა გათავებას სთხოვს. რადამისტი ზრდის ქრთამის ოდენობას. ბოლოს და ბოლოს მითრიდატე, რომელიც გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა (რომაელთა გარნიზონის მხარდაჭერა აღარ აქვს – მ. ჩ.), იჯერებს ძმიშვილის შემონათვალს – უვნებლად დატოვების შესახებ და ნებდება. რადამისტი ჯერ ტკბილად მიიღებს ბიძას (იგი მისი სიძეც და სიმამრიც იყო), მერე კი მუხანათურად და ცინიკურად მოაკვლევინებს. არ დაინდობს არც მითრიდატეს მეუღლეს (ე. ი. საკუთარ დას), არც დიშვილებს.

ამ სისხლიანი ანგარიშსწორების შემსრულებელი და უშუალო მონაწილე, მართალია, ფარსმანი არ ყოფილა, მაგრამ ყოველივე რომ მისი დასტურით ხდებოდა, საეჭვო არ არის. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ტაციტუსის შენიშვნა ასეთია: „ფარსმანს სამეფოს ჩაგდების წადილმა ძმა და ქალიშვილი დაათმობინა და გულში უკვე მზად იყო ბოროტი მოქმედების ჩადენისათვის. ის კი ივარაუდა, რომ ეს საქმე მის თვალწინ არ მომხდარიყო და ისინი მის წინაშე არ დაეხოცათ“.

ფარსმანმა საბოლოოდ არც რადამისტი შეიცოდა. იგი მამას მოუკლავს როგორც გამცემი, რომ ამით რომაელთათვის ერთგულება დაედასტურებინა. ამრიგად, ფარსმანი გაემიჯნა რადამისტის ქმედებებს, ანუ საქმეს, რომელიც თვითონ შთააგონა შვილს და რომელის განხორციელებისათვის მატერიალური სახსარი და ენერჯია არ დაზოგა.

დაუნდობელი და სასტიკი, მუხანათი, ძალაუფლებისა და სისხლის მოყვარე, სწრაფი და ჩაუქი, მოქნილი ხელჩართულ ბრძოლასა თუ დიპლომატიაში – აი, ეპითეტები, რომლებითაც შეიძლება დახასიათდეს ტაციტუსთან წარმოდგენილი ქართლის მეფის სახე. როგორც ითქვა, სიტყვით „ავაზ“ შეიძლება ყოველივე ამის გამოხატვა.

„ღლე :კ:“

ახლა დავუბრუნდეთ მოყვანილ ციტატას „მოქცევაი ქართლისაიდან“. მირდატ ფარსმან ავაზის ძის ზეობის აღნიშვნას, აქ მოსდევს ასეთი ინფორმაცია: „და მეფობდა ლადამი და ღლე :კ:“.

ცნობილია, ასო-ნიშნებს ძველ კულტურულ ტექსტებში იყენებდნენ რიცხვების აღსანიშნავადაც. :კ:-ს შესატყვისი ქართულ ანბანში არის რიცხვი 20. გამოდის, „მოქცევაი ქართლისაიში“ ლადამის ზეობა 20 დლით არის განსაზღვრული. ასეთი რამ არაბუნებრივად მიაჩნიათ მკვლევართ და განსახილველ ცნობას ასწორებენ ლეონტი მროველის მონაცემების მიხედვით, რომელთანაც სამი წელია მითითებული; მაგრამ ლეონტი წყაროთა ინტერპრეტატორია და ზოგჯერ, ამის გამო, რამდენადმე არაზუსტი. თანაც მხედველობაშია მისაღები, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკა მონაცემებს ზეობის ხანგრძლივობის შესახებ საერთოდ არ შეიცავს. ლადამთან

დაკავშირებული შემთხვევა ერთადერთია და ეს გამონაკლისი სწორედ დაფიქსირებული ფაქტის უჩვეულობით (მეფობა ოცი დღით?!) უნდა იყოს გამოწვეული. ქრონისტს აუცილებლად მიუჩნევია აღენიშნა ლადამის მეფობაც, მაგრამ აქვე გვიჩვენებს რეალურად რა შინაარსი აქვს ამ ფაქტს. ასე რომ, „მოქცევაი ქართლისაის“ მონაცემი უკუგდებულ კი არ უნდა იქნეს, საჭიროა შევეცადოთ მის განმარტებას.

ოცი დღით ზეობა მიუთითებს: ძველ ქართლში ადგილი ჰქონდა ხელისუფლების უზურპაციის ფაქტს. თუმცა, მხოლოდ ამ ცნობით არ ჩანს უზურპატორი ვინ იყო: თავად ლადამი, რომელიც წარუმატებლად შეეცადა მირდატ ფარსმანის ძის დამხობას, თუ ლადამის მომდევნო ფარსმანი, რომელმაც, პირიქით, წარმატებულად მოახდინა სახელმწიფო გადატრიალება და წინა ხელისუფალი სულ ოც დღეს ამეფა.

ამ პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას გვაძლევს პავლე ინგოროყვას დაკვირვება იმის თაობაზე, რომ სახელები „რადამისტი“ (Rhadam-ist) და „ლადამი“ ერთი და იგივეა. აღნიშნული აზრი, რომელიც მკვლევარს მოკლე შენიშვნის სახით აქვს მოცემული, შემდგომში არც თავად მას, არც რომელიმე მომდევნო სპეციალისტის ისტორიულ რეკონსტრუქციაში არ გამოყენებულია. არადა, იგი უეჭველია და გვეხმარება შევავსოთ ის ისტორიული სურათი, რომლის მოხაზვა ზემოთ უკვე ვცადე „მოქცევაი ქართლისაისა“ და ტაციტუსის ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აშკარაა, რომ როცა ფარსმან ავაზმა გაამეფა მისთვის სასურველი მირდატი (მითრიდატე), განაწყენებულმა უფროსმა ძემ (შვილმა პირველი ცოლისაგან) ლადამმა (რადამისტმა) მოაწყო სახელმწიფო გადატრიალება. მაგრამ მისი ცდა, ძალით ეგლო ტახტი ხელთ, წარუმატებელი აღმოჩნდა. ამაზე ზეობის ხანმოკლეობა მეტყველებს. როგორც ჩანს, ეს იყო ლადამის (რადამისტის) საბედისწერო ნაბიჯი. ტაციტუსის ცნობებზე დაყრდნობით ვარაუდი იმის თაობაზე, რომ რადამისტის მკვლელობის მიზეზი ტახტის ხელში ჩაგდების ცდა უნდა ყოფილიყო, გამოთქმული აქვს აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილს. „მოქცევაი ქართლისაის“ ინფორმაციის გათვალისწინება, ამ ვარაუდს, მყარ საბუთზე დამყარებულ დასკვნად აქცევს.

არაა გამორიცხული, რომ უმცროსი ძმის გამეფებით შეურაცხყოფილი უფლისწული თავიდან თვით ფარსმან ავაზის მომხრეების მიერ იქმნა წაქეზებული ამ ნაბიჯის გადასადგმელად და მერე მათგანვე იოლად დამხობილი. ფარსმანისათვის ხომ აუცილებელი იყო არასასურველი ძის პრობლემის ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტა, მოუსვენარი ტახტის მაძიებლისაგან გათავისუფლება. სხვაგვარად, მის რჩეულ მირდატს მშვიდი მეფობის საშუალება არ ექნებოდა. ლადამ//რადამისტის სიკვდილით დასასჯელად კი მას დასჭირდებოდა მძიმე ბრალდებანი, რომლებიც შეიძლებოდა უხვად დაგროვილიყო სახელმწიფოს მართვის დროს. როგორც ტაციტუსის თხზულების ზემოთ ციტირებული ადგილიდან ჩანს, ძმის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ფარსმანმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური საბაბი მოიგონა, შემდგომ კი მისი ოჯახის განადგურებაში უშუალო მონაწილეობის მიღებას მოერიდა. ამგვარი

ფაქტები არ უნდა იყოს შემთხვევითი. ფარსმან ავაზი, ჩანს, ითვალისწინებდა მის მიერ განზრახულ საქმეთა მოსალოდნელ საზოგადოებრივ რეზონანსს, მათ განხორციელებას იმგვარად ცდილობდა, რომ აშკარა დამნაშავედ არ გამოჩენილიყო. ლადამის დასჯაც, უნდა ვივარაუდოთ, მან ისე დაგეგმა, რომ სიკვდილი თვით მსხვერპლის ბრალი ყოფილიყო.

ზოგადად, უკვე აღვნიშნეთ ის სისხლიანი აქცია, რომელიც განხორციელა ლადამმა სომხეთში. ამ გარეგნულად მომხიბლველი ახალგაზრდის ხასიათის ბოლომდე წვდომისათვის აუცილებელია მივუთითოთ დეტალებზე. როგორც ითქვა, უიმედო მდგომარეობაში მყოფი მითრიდატე მან ციხე-სიმაგრედან გამოიტყუა და თავიდან პატივით მიიღო: „არწმუნებდა არც მახვილს, არც შხამის ძალას არ გამოვიყენებ შენს წინააღმდეგ“. ფიცის დადების დროს, ლადამის (რადამისტის) ერთ-ერთი კაცი ვითომ შემთხვევით წაიქცა, მითრიდატეს ფეხებზე მოეხვია და ისიც წააქცია. მაშინ სხვებმა ბორკილები დაადეს და ხალხის წინაშე გაატარეს, როგორც სასტიკი და მეტად საძულველი მეფე. უკან მტირალი მეუღლე და ბავშვები მისდევდნენ. ცალ-ცალკე ურმებში ჩასვეს და ფარსმანის ბრძანებას ელოდებოდნენ. „რადამისტმა, აქაოდა დადებული ფიცი მახსოვსო, მართლაც, არც მახვილი და არც შხამი არ იხმარა დისა და ბიძის წინააღმდეგ, არამედ მიწაზე დააწვინა ისინი და ზემოდან მრავალი მძიმე სამოსის დაყრით მოაშთობინა. დახოცეს მითრიდატეს ვაჟიშვილებიც, რომლებიც მშობლების დალუპვას ხმამაღლა ტიროდნენ“.

და კიდევ ერთი სურათი, რომელიც ასევე შემოგვინახა ტაციტუსმა: როდესაც პართელებისაგან დევნილი ლადამი სომხეთიდან გამოიქცა, მას თან ჰყავდა ფეხმძიმე ცოლი. ცხენით ხანგრძლივ შეუსვენებელ რბოლას ქალმა ვეღარ გაუძლო, ქმარს ევედრებოდა მოეკლა. ტაციტუსი აღწერს ლადამის ტანჯვას: ერთი მხრივ, მას ენანებოდა ცოლი, მეორე მხრივ, აგიჟებდა აზრი, თუ ცოცხალს დატოვებდა, სხვას ჩაუვარდებოდა ხელში. ბოლოს მაინც „მკვლელობაში გაწაფული ხელით“ მახვილით განგმირა და მდინარეში გადაავლო. ძნელია ამოვიცნოთ რა წყაროს ეყრდნობა ტაციტუსი, როცა თვითმხილველივით ცხოველმყოფელად გვინახტავს ლადამის სულიერ მდგომარეობას საშინელი აუცილებლობის განხორციელების წინ. შესაძლოა ისტორიკოსს ეს აფიქრებინა იმ ფაქტმა, რომ ზენობია (ასე ერქვა ქალს) გადარჩა. ე. ი. ჩვენი ვარაუდითაც, ლადამს მაინც აუკანკალდა ბრძოლებში გაწაფული ხელი, რადგან მისი დარტყმა არ აღმოჩნდა სასიკვდილო.

ზენობია მწყემსებმა იპოვეს. მდიდრულმა სამოსმა მიახვედრა ისინი, რომ დიდგვაროვანთან ჰქონდათ საქმე. დედაქალაქში წაიყვანეს. ბოლოს სწორედ ლადამის გამარჯვებულ მეტოქესთან მოხვდა, რომელმაც შეურაცხყოფა არ იკადრა, ქალს ისე „მოექცა როგორც დედოფალს“.

სისხლში გასვრილ ხელმოცარულ პოლიტიკურ ავანტიურისტს ბედი დასცინოდა. მამისაგან მოძულებული და მამისავე მსხვერპლი ლადამ//რადამისტი უდავოდ ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული პერსონაჟია.

ჩვენი აზრით, ფარსმან ქველის მეტოქე მცხეთელი მირდატი იგივე ფარსმან ავაზის ძმაა, რომელიც ტაციტუსის მიხედვით, შემდგომში მითრიდატე

არმენიელი ანუ სომხეთის მეფე გახდა. მირდატ მცხეთელიც სასტიკია და ქვეშევრდომთათვის საძულველი, მისეული ბრძოლის მეთოდები კი შეესაბამება ფარსმან ავაზის ბრძანებათა სულისკვეთებას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ, ვიდრე სომხეთში ხელისუფლების ხელში ჩაგდებას შეეცდებოდა, მირდატი ფარსმანის დავალებით იბრძოდა არმაზის სამეფოს წინააღმდეგ.

რატომ განაწესა ძმა ამ საქმეზე ფარსმანმა? როგორც ვნახეთ, მას ახასიათებდა საკუთარ ტახტზე პრეტენზიების მქონე პირთა ენერჯის წარმართვა მეტოქისაკენ. ამავე დროს, ფარსმან ავაზი ერიდებოდა მის მიერ დაგეგმილ უზნეო საქმეებში უშუალო მონაწილეობის მიღებას. არმაზსა და მცხეთას შორის შუღლის გაჩაღება კი, ჩანს, იმ ეპოქაში მორალური თვალსაზრისით, დადებითად არ ფასდებოდა. ლეონტი მროველის ცნობით, არმაზელი და მცხეთელი მეფეები ნათესავეები იყვნენ და მირდატამდე სრული თანხმობით ზეობდნენ („აქამომდე ესე მეფენი ყოველნი ორ-ორნი იყვნეს მოყურობასა ზედა: ერთგან მოყურენი ვისნიმე და ერთგან მტერნი ვისნიმე“). ასე რომ, ამ შემთხვევაში, ფარსმან ავაზს ძმის ზურგს უკან დგომა რომ ემჯობინებინა, გასაკვირი არაა.

ლეონტი მროველის წყარო აფიქსირებდა ფარსმან ქველის და ამგვარად, მცხეთის წინააღმდეგ, მტრულ ქმედებათა უშუალო განმახორციელებლის, ე. ი. მირდატის სახელს. ამის გამო, აღნიშნულ ქმედებათა რეალური სულისჩამდგმელი ლეონტისათვის უჩინარი დარჩა. მოქნილმა ფარსმან ავაზმა „მოახერხა დასხლტომოდა“ ლეონტი მროველის მზერას. თანამედროვე მკვლევართაც არ შეუნიშნავთ იგი აქამდე.

„ზეთისხილოვან მდინარესთან“

„მეფე მიჰრდატ, დიდი მეფე, ძე ფარსმანისა, დიდი მეფისა. ძე ვარ ჩარგასი ძე ზევან უფროსისა. მეც ჩარგას, პიტიახში ვარ მიჰრდატ“ – ასე იწყება არამეული წარწერა 1940 წელს მცხეთა-არმაზის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ერთ-ერთი სტელისა, ე. წ. „არმაზის მონოლინგვა“. ესაა ძნელად ამოსაკითხი და გასაშიფრი ტექსტი, ამიტომ სპეციალისტები ზემოთ ციტირებულის მომდევნო ნაწილის შინაარსს ზოგადად გადმოგვცემენ. აკადემიკოს გიორგი წერეთელის, დღეს საყოველთაოდ გაზიარებული, შეხედულებით, აქ ლაპარაკია იმ გამარჯვებებზე, რომლებიც პიტიახში ჩარგასს მიჰრდატ მეფისათვის მოუპოვებია, ქართლის მოსაზღვრე ქვეყნების დალაშქვრაზე, ციხე-სიმაგრეთა აღებაზე. ამ კონტექსტში ნახსენებია სომხეთი და რალაც ამბობება. წარწერის საზეიმო ტონი აფიქრებინებს აკადემიკოს გრიგოლ გიორგაძეს, რომ ეს ძეგლი, თავის დროზე, საფლავის ქვა კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ითვლებოდა, არამედ გამარჯვების სტელა.

პიტიახში ჩარგასი მამამისს ანუ ზევანს იხსენიებს „უფროსის“ ეპითეტით. ეს ნიშნავს: წარწერის გაკეთების დროისათვის არსებობს უმცროსი ზევანიც (პავლე ინგოროყვას აზრით, სახელის უძველესი ქართული ფორმაა ჭევანი), ე. ი. ჩარგასის ძე, უფროსი ზევანის შვილიშვილი. არმაზისხევში აღმოჩენილ

ორენოვან (არამეულ-ბერძნულ) წარწერაში, ე. წ. „არმაზის ბილინგვაში“, მართლაც, იხსენიება ზევან უმცროსი – უდროოდ გარდაცვლილი სერაფიტის მამა: „მე ვარ სერაფიტი, ასული ზევან მცირისა, ფარსმან მეფის პიტიახშისა, მეუღლე იოდმანგანისა, რომელიც იმარჯვებდა და ამრავლებდა ადრე გაკეთებულ საგმირო საქმეებს და არის ეზოსმოდღვარი ქსეფარნუგ მეფისა, ძე აგრიპასი, ეზოსმოდღვრისა ფარსმან მეფისა, რომელმაც სძლია მძლეველნი, რაც ფარნავაზმა ვერ დაასრულა. და ასე, სერაფიტი იყო კეთილი და ლამაზი, რომლის მსგავსი არავინ იყო სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა“ (აკადემიკოს კონსტანტინე წერეთლის თარგმანი).

ამრიგად, არმაზისხევში აღმოჩენილი ეპიგრაფიკული ძეგლების მიხედვით, მეფე მიჰრდატის თანამედროვე პიტიახშის, ჩარგასის მემკვიდრე არის პიტიახში ზევან მცირე – მეფე ფარსმანის თანამედროვე. ე. ი. მეფე მიჰრდატის მემკვიდრეა მეფე ფარსმანი. ეს ერთი მხრივ.

მეორე მხრივ, მიჰრდატ „დიდი მეფე ძე ფარსმანისა“ ის მოღვაწეა, რომლის დროს ქართლი წარმატებებს აღწევს სომხეთთან დაპირისპირებაში. ორივე ამ ფაქტით აშკარაა, რომ „არმაზის მონოლინგვის“ მიჰრდატი იგივე ფარსმან ავაზის ძე მირდატია. როგორც „მოქცევაი ქართლისაის“ ზემოთ ციტირებული ტექსტი გვიჩვენებს, ამ მირდატის მემკვიდრეც ფარსმანია და მისი მოღვაწეობაც სომხეთზე პოლიტიკური რევანშით ხასიათდება. სომხეთზე გამარჯვებას გამოხატავს მირდატ ფარსმანის ძის დროს ორმეფობის დასრულების ფაქტი, რაც ნიშნავს სომხური ექსპანსიის შედეგების ლიკვიდაციას, სომხეთის გავლენის ქვეშ, გარკვეული დროის განმავლობაში მყოფი არმაზის სამეფოს (როგორც ადრევე განვმარტეთ, ეს იგივეა, რაც იბერიის საპიტიახშო) ქართლის მეფისათვის დამორჩილებას.

ამრიგად, ფარსმან ავაზის ენერგიული ცდა, მოესპო ქვეყნის დაყოფა, მის რჩეულ ძეს წარმატებით განუხორციელებელია და გაერთიანებული ქართლის ხელისუფალი გამხდარა სატახტო ქალაქით მცხეთაში. ეს იყო დიდი მოვლენა.

გასულ საუკუნეში, მცხეთის მახლობლად სამუშაოების ჩატარებისას შემთხვევით აღმოჩნდა თითქმის კვადრატული ქვა ჩვიდმეტსტრიქონიანი ბერძნული წარწერით. ესაა დახელოვნებული კალიგრაფის მიერ, ბერძნული ასომთავრულით შესრულებული, ჩარჩოთი შემოხაზული ტექსტი ქართლის მიმართ რომაელთა მიერ გამოვლენილი მეგობრული ჟესტის, დედაქალაქის გალავნის გამაგრების შესახებ. მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ბიოგრაფიული მონაცემების გათვალისწინებით, აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლი, უკვე პირველი მკვლევრების მიერ, დათარიღებულ იქნა I ს. 70-იანი წლებით.

წარწერა საკმაოდ დაზიანებული. მიუხედავად ამისა, მისი დასაწყისი ნაწილის გაგება სპეციალისტებში დავას არასოდეს იწვევდა. თავიდანვე ცხადი შეიქმნა, რომ აქ მოცემულია კეისრების: ვესპასიანეს, ტიტუსა და დომიციანეს საყოველთაოდ ცნობილი ტიტულატურა. სხვაგვარი ვითარებაა ადრესატების თაობაზე ინფორმაციის შემცველი ბოლო სტრიქონების კვლევასთან დაკავშირებით. ტექსტის ამ მონაკვეთის ამოკითხვის და განმარტების თაობაზე გამოთქმულია მრავალი თვალსაზრისი. მათი კრიტიკული განხილვის შედეგების

აქ წარმოდგენა ძალიან დაგვიკვირებს ისტორიული პორტრეტის შექმნის დასახულ მიზანს. ამიტომ, მე-13-17 სტრიქონების ჩვენი რედაქციის თარგმანს წარმოვადგენთ. წარწერა გვამცნობს, რომ თვითმპყრობელმა კეისარმა ვესპასიანე სებასტოსმა და მისმა ვაჟებმა ვიპატოსებმა ტიტემ და დომიციანემ „იბერიის მეფეს მითრიდატეს – მეფე ფარსმანის ძეს და ამაზასს – (სეფე)წულს, კეისრის მეგობარს და რომაელთა მოყვარე ხალხს გალავანი გაუმაგრეს“.

ფარსმან ავაზის ძე მირდატი I ს. 50-იანი წლების მიწურულისათვის იკავებს ტახტს. ეს ჩანს ტაციტუსის მიხედვით. I ს. 70-იან წლებში ამ წარწერაში მოხსენიებული იბერთა მეფე მითრიდატე ფარსმანის ძე, აშკარად იგივე პიროვნებაა.

აქ ყურადღებას იქცევს გარემოება: იბერთა მეფე მოხსენიებულია შემამკობელი ეპითეტის გარეშე (საპირისპიროდ, სხვათა შორის, რომაელებისა), ქართლის ამ მეფეს კი ჰქონდა პრეტენზია წოდებულ ყოფილიყო, როგორც „დიდი მეფე“. ამას აჩვენებს მისი ქვეშევრდომის, ჩარგას პიტიახშის სიტყვები. ე. ი. იმის თქმა მინდა, რომ, მიუხედავად მეგობრობის დეკლარირებისა, რომაელები აგრძნობინებენ ქართლის მეფეს, რომ ეს არათანაბართა მეგობრობაა. ამ შთაბეჭდილებას კიდევ უფრო მიმდაფრებს ის გარემოება, რომ კეისრის პირად მეგობრად დასახელებულია არა ქართველთა უზენაესი ხელისუფალი, ე. ი. მეფე, არამედ სამეფო ოჯახის წევრი (სეფეწული) ამაზასპი. სწორედ როგორც კეისრის დაახლოებული პირი, ამაზასპი იღებს რომაელთაგან მიძღვნას მეფისა და მთელი ქართველი ხალხის თანაბრად. ყველაფერ ამას, ჩვენი აზრით, დაფარული ცინიზმის კვალი ატყვია.

მითრიდატე მეფე და პრინცი ამაზასპი იხსენიებიან გასულ საუკუნეში რომში აღმოჩენილ ბერძნულ ეპიგრაფიკულ ძეგლში. ესაა ამაზასპის ეპიტაფია ლექსად:

„მეფის სახელოვანი ძე ამაზასპი, მითრიდატე მეფის ძმა, რომლის მშობლიური მიწაც არის კასპიის ბჟესთან, იბერი, იბერიის ძე, აქ მარხია წმინდა ქალაქთან, რომელიც ააგო ნიკატორმა მიგლონის ზეთისხილოვან მდინარესთან. გარდაიცვალა თანამეზავრი ავზონთა წინამძღოლი მეუფისა მოსული პართელებთან საბრძოლველად. გარდაიცვალა უწინ, ვიდრე გაისვრიდა ხელს, ვაი, რომ ძლიერ ხელს, მტრის სისხლში, შუბსა, მშვილდზე და მახვილის პირზე. იყო ქვეითიცა და მხედარიც, თვით – მორცხვი ქალწულების მსგავსი“ (აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის თარგმანი).

ეპიტაფია თარიღდება 114-115 წლებით. მცხეთის გალავნის ზემოთ განხილული წარწერისაგან მას აცილებს ოთხი ათეული წელი. ეს ქრონოლოგიური მანძილი კიდევ ამდენივეც რომ დავუმატოთ, არ აღემატება ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობას. უეჭველია, რომ ორივე ძეგლში იხსენიებიან ერთი და იგივე პიროვნებები. სეფეწული ამაზასპი, როგორც გამოირკვა, მითრიდატეს ძმა ყოფილა, ე. ი. ფარსმან ავაზს ჰყოლია მესამე ვაჟიც. 114-115 წლებისათვის იგი სალაშქროდაა და როგორც ეპიტაფია გვიჩვენებს, კარგ ფიზიკურ ფორმაშიცაა. ე. ი. I ს. 70-იანი წლების შუა ხანებში, როცა პირველად ვხვდებით მის სახელს წყაროებში, ამაზასპი ყოფილა

სრულიად ახალგაზრდა. სწორედ ამ ჭაბუკის პირად მეგობრად არის მოხსენიებული ამ დროისათვის შვიდ ათეულ წელს მიტანებული ვესპასიანე კეისარი. ეს ნიუანსი დამახასიათებელია რომის დიპლომატიის რეალური შინაარსის ამოსაცნობად. ამკარაა, რომ მისი მესვეურნი ქართლის მეფის ძმას განიხილავდნენ, როგორც პოლიტიკურ კოზირს, რომელსაც შესაფერის პირობებში წარმატებით გაითამაშებდნენ. 114-115 წლების წარწერაში მირდატ ფარსმანის ძის ხსენება მის ხანგრძლივ მეფობაზე მიუთითებს. ამასვე მიუთითებს ირიბად პიტიანშე ჩარგასის გამარჯვების სტელაც, რომლის მიხედვით, როგორც აღნიშნა, მირდატის დროს პიტიანშეთა ორი თაობა ზეობდა.

II ს. 10-იანი წლების შუა ხანებისათვის, ე. ი. მაშინ, როცა გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ამაზასპი, მირდატი უდავოდ საკმაოდ ასაკოვანია. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ დროს სასურველი მემკვიდრისათვის (რა თქმა უნდა, ასეთი შეიძლება ყოფილიყო შვილი) ტახტის გადაცემა მისთვის ღვას, როგორც უახლოეს მომავლში გადასატრეული ამოცანა. ისიც საფიქრებელია, რომ ამ ამოცანის დასაძლევად მას დაბრკოლებად მიაჩნია რომის მხარდაჭერით ზურგმოცემული მისი უმცროსი ძმა ამაზასპი. თავად ხომ ძმასვე, მასზე უფროს ღადამს, შეეცილა თავის დროზე ტახტს. ზეთისხილოვან მდინარესთან გაჭრილი საფლავი ქართლის მეფეს დინასტიურ საქმეებში გარეშე ძალის ჩარევის საფრთხისაგან ათავისუფლებდა. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამაზასპის მოულოდნელ გარდაცვალებაში მირდატის ხელი ერია. უსამხილოდ, შორს უცხოეთში მეტოქის მოკვდინება ფარსმან ავაზის პოლიტიკის წარმატებით გამგრძელებლის ხელწერისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

მაგრამ აღნიშნული, როგორც ითქვა, მაინც ეჭვია, მოვლენათა განვითარების მხოლოდ ერთ-ერთი სავარაუდო მოდელი. რადგან ზემოთ მოყვანილი მსჯელობა ლოგიკურად დასაშვებია, იგი უნდა გვქონდეს მხედველობაში, მაგრამ ცხადია, სრულებითაც არ გამოირიცხება, რომ მირდატი ძმის სიკვდილში არ ერია, პოლიტიკური სცენიდან ამაზასპის დროულ გასვლაში შემთხვევითობამ ითამაშა როლი.

II ს. 30-50-იან წლებში, როგორც ითქვა, რომაელი ავტორების მიხედვით, ქართლის სამეფო ტახტზე ვხედავთ ფარსმანს. არსად მისი ძამის სახელი მითითებული არაა, მაგრამ უეჭველია (უპირველესად ქრონოლოგიის გამო) იგი არის მირდატის ძე, ფარსმან ავაზის შვილიშვილი. სწორედ მას, როგორც მძლეთა მძლეველს და ფარნავაზის საქმეთა დამაგვირგვინებელს, იხსენიებს სერაფიტის ეპიტაფია, აგრეთვე „მოქცევაი ქართლისაი“, რომლის მიხედვით აღნიშნული მეფე ქართლის რიგით მეცხრამეტე უზენაესი ხელისუფალია.

უმცროსი ფარსმანი ჩვენი ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ფიგურას წარმოადგენს. მის ლალ გამოხედვას ერთბაშად გამოარჩევთ ძლიერი პოლიტიკური პარტნიორების წყალობის შემყურე ქართველი მეფეების პორტრეტთა გაღერებაში. ქართული სახელმწიფო, მის დროს, თვისებრივ სხვაა, ვიდრე პაპის, თუნდაც მამამისის ზეობაში. ფარსმან მირდატის ძე რომსა და პართიას ერთდროულად ემეტოქება. ქართველთა ჯარი, მისი წინამძღოლობით, ალანთა მეომრებთან ერთად არის ძალა, რომელსაც შეუძლია შექმნას ამინდი

პოლიტიკურ სამყაროში. ამას წერს რომაელი ისტორიკოსი დიონ კასიუსი (153-235 წწ.).

ჩრდილოკავკასიელთა რაზმების გამოყენება ახალი არ იყო ქართლის მესვეურთა პოლიტიკისათვის. ისინი, როგორც ცნობილია, აკონტროლებდნენ ალანთა კარს და სათანადოდ სარგებლობდნენ კიდეც ამით. გავიხსენოთ ფარსმან წარმატებული ბრძოლა პართელი უფლისწულის, ოროდის წინააღმდეგ სარმატთა დამხმარე ძალით. მაგრამ ფარსმან უმცროსი, უფროსი ფარსმანისაგან განსხვავებით, ერთდროულად უპირისპირდება რამდენიმე ქვეყანას, არ ეშინია მათი ერთიანი ფრონტის, არ ეძებს მოკავშირეებს.

ფარსმან მირდატის ძე რომს ავიწროებს კოლხეთში, ნაწილობრივ, დევნის კიდეც მას აქედან და საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გადასწევს შორს, დასავლეთით, შავ ზღვამდე. ამრიგად, სახელმწიფო, რომელსაც ის უდგას სათავეში, მოიცავს ქართულ მიწებს როგორც აღმოსავლეთში და დასავლეთში. ასე რომ, ფარნავაზის შემდეგ, ქართველთა კონსოლიდაციის თვალსაზრისით, განსაკუთრებული ეტაპი სწორედ ფარსმან II ზეობის ხანაა.

ფარსმანი გრძნობს ძალას და მოითხოვს, რომ მისდამი მოპყრობაც ამ ძალის შესაბამისი იყოს. თავი მას დამოუკიდებლად და ქედმაღლურად უჭირავს, ვასალივით როდი ცხადდება იმპერატორ ადრიანეს კარზე. მის ძღვენს ძღვენითვე უპასუხებს, რითაც აშკარად ხაზს უსვამს, რომ მიიღო იგი, როგორც მეგობრული საჩუქარი და არა როგორც წყალობა. ნიშანდობლივია, ადრიანეს აღშფოთება ამ ფაქტით. ფარსმანის თავმომწონეობისათვის რომ დაეცინა, ოქროქსოვილი იბერიული წამოსასხამებით მან ამფითეატრის არენაზე გასული სამასი დამნაშავე შემოსა. ამით გამოხატა, რომ არ უტოლებდა თავს ფარსმანს.

მაგრამ უკვე ადრიანეს მომდევნო იმპერატორმა ანტონინე პიუსმა, იბერიისა და მისი მეფის მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. მხოლოდ ამის მერე ეწვია ფარსმანი რომს დიდი ამაღლით, მეუღლითა და ვაჟიშვილით. იმპერატორმა სცნო ქართლის გაფართოებული საზღვრები და სტუმარს კაპიტოლიუმში მსხვერპლის შეწირვის პატივი მიაგეს. რომში, მარსის მოედანზე მისი ქანდაკებაც დაიდგა.

ქართლის პოლიტიკურ ამბიციას, რომელსაც ასე გამოხატული სახე აქვს ფარსმან მირდატის ძის ზეობის დროს, ანუ ფარსმან ავაზის ხელისუფლების ხანაში ცაყყარა საფუძველი. სხვას რას უნდა ნიშნავდეს ლადამის სინანულიანი სიტყვები, ქართლის უმნიშვნელო სახელმწიფოდ ყოფნის გამო. როგორც ვნახეთ, ლადამი (იგივე რადამისტი) მამის მიერ იყო მართული. ის ლაპარაკობდა იმას, რისი გაცხადებაც დიპლომატიურ მოსაზრებათა გამო, თავად ფარსმან ავაზს არ შეეძლო.

კიდეც მეტი: სერაფიტის ეპიტაფია გვიჩვენებს, რომ არსებობდა სახელმწიფოებრივი იდეოლოგია ანუ აღსასრულებელ საქმეთა გარკვეული კონცეფცია ქვეყნის საზღვრების გაფართოებისათვის. ამ სახელმწიფოებრივი პროგრამის სისრულეში მოყვანა, თვით თანამედროვეთა თვალსაზრისით, წილად ხვდა ფარსმან II.

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ მეფის ზეობა „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიულ ქრონიკაში წარმოდგენილია სულ ორი სიტყვით: „და ფარსმან“. საქმე ისაა, რომ „მოქცევაი ქართლისაის“ ქრისტიანი ავტორი საგანგებოდ მოკლედ გადმოგვცემს წარმართულ პერიოდს, თანაც ფაქტებს კრებს შერჩევით; იგი ძირითადად აფიქსირებს კულტის, რწმენის ისტორიის თვალსაზრისით, საინტერესო ცნობებს. ინფორმაციის ამგვარი სიმწირე ფარსმან II დროს წარმართული იდეოლოგიის კრიზისის მაუწყებელია. ფარსმან მირდატის ძე, ეს „მძლეთა მძლეველი“ ხელისუფალი ოდნავადაც არ გარჯილა კერპთა აღმართვისათვის. საინტერესოა, რომ უკვე მისი მემკვიდრის შთამომავალი რევი, ქრისტიანული ისტორიოგრაფიის მიერ *მართლად* წოდებული, ახდენს წარმართულ წეს-ჩვეულებათა გადასინჯვას. იგი ქრისტიანობას გაცნობილი ახორციელებს უაღრესად მნიშვნელოვან აქტს – კრძალავს ადამიანის მსხვერპლად შეწირვას კერპთათვის.

რევმა უარი თქვა გაეკეთებინა ის, რასაც საუკუნეთა მანძილზე ღმერთის სახელით აკეთებდნენ მისი მამა-პაპანი.

„ცხოვრების მასწავლებელი“

წყაროები, რომელსაც ემყარება ეს გამოკვლევა, დიდი ხანია ცნობილია სპეციალისტებისათვის. მათ ჩვენს კვლევამდეც ფართოდ იყენებდნენ ისტორიულ რეკონსტრუქციაში. ოღონდ ნათლად დანახული არ იყო ის კავშირი, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, „მოქცევაი ქართლისაის“, „ქართლის ცხოვრების“ ცნობებს, და მეორე მხრივ, რომაელი ავტორებისა და ეპიგრაფიკული* ძეგლების ინფორმაციებს შორის. ამიტომაც არასოდეს უცდიათ ამ მასალის გამოყენება ისტორიული პორტრეტისათვის. მას შემდეგ, რაც ეს კავშირი ცხადი გახდა (როგორც ვნახეთ, ბენიერი შემთხვევითობის წყალობით იმ შორეული ეპოქის ერთი და იმავე პირთა შესახებ შემოგვრჩა რამდენიმე, ინფორმაციულად მეტად ტევადი, წყარო), დაგროვდა სახასიათო შტრიხთა საკმაო რაოდენობა და ისტორიულ პერსონაჟთა პორტრეტები გამოჩნდა მკაფიოდ და ხელშესახებად.

პერიოდი ფარსმან ავაზიდან მის შვილიშვილ ფარსმანის მოღვაწეობამდე, ე. ი. I ს. 30-იანი წლებიდან II ს. შუა წლებამდე, არის ქართლის სამეფოს თანდათან გაძლიერების ხანა, როცა ქვეყნის მესვეურები იწყებენ ბრძოლას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი პოლიტიკისათვის და აღწევენ კიდევ ამას. ასეთი პერიოდები ჩვენი მცირერიცხოვანი ერის ისტორიაში არცთუ ბევრია. ამიტომ, ვფიქრობთ, ფარსმან ავაზის ოჯახის ისტორიას დიდი ინტერესითა და შინაგანი ღელვით ადევნებს თვალყურს მკითხველი. ზოგმა ეპიზოდმა მას უთუოდ სიამაყე აგრძნობინა. თუმცა, ამასთან ერთად, მკითხველს ხინჯად რჩება ზემოთ აღწერილი სისხლიანი დაპირისპირებანი ხელისუფლებისათვის, მამასა და შვილებს, ძმებს შორის არაადამიანური ურთიერთობები. რა თქმა უნდა, ჩვენთვის ცხადია, რომ ობიექტურად ყოველივე ამას განაპირობებდა მონარქიული წყობილება. როგორც ცნობილია, იგი მოითხოვს პოლიტიკური თამაშის გარკვეულ წესებს; ვინც მათ ზუსტად იცავს, თავს აგებს. ფარსმან ავაზს რომ

არ დაესწრო, თვითონ მას გაუსწორდებოდნენ არანაკლებ სასტიკი მეტოქეები. საგანგებოდ დაბავდა ვითარებას გარეშე ძალაც. იმისათვის, რათა აქტიურად ჩარეულიყო ქართლის საშინაო საქმეებში, რომი ერთმანეთს უპირისპირებდა სამეფო ოჯახის წევრებს, ხელს უწყობდა მათ შორის ზნეობრივად ყველაზე სახელგატეხილის აღზევებას. ამ თვალსაზრისით, ძალიან საინტერესოა ტაციტუსის მსჯელობა ლადამის სომხეთში გამეფებასთან დაკავშირებით. რომის პოლიტიკოსებს განუხილავთ მისი სისხლიანი აქცია და დაუსკვნიათ: „უცხოთა ყოველ ბოროტმოქმედებას, სიხარულით უნდა შევეგებოთ. სიძულვილის თესლიც კი უნდა დავთესოთ.... დაე, რადამისტი შეძლებული, სახელგატეხილი ფლობდეს ბოროტად მოპოვებულ ხვედრს; ვინაიდან ეს უფრო ხელსაყრელია ჩვენთვის, ვიდრე ის, რომ მას სახელიანად და დიდებით ჰქონდეს მიღებული ძალაუფლება“-ო.

თუმცა, სისტემის ხასიათი უზნეობის გამართლება სულაც არაა. ადამიანს ყოველთვის რჩება არჩევანი იყოს კეთილი ან ბოროტი. იმავე მონარქიული წეს-წყობილების პირობებში, ჩვენ ვიცით სამეფო ოჯახის წევრთა ურთიერთობის სრულიად საპირისპირო მაგალითი: საოცრად ზნეკეთილნი, ურთიერთსიყვარულით იყვნენ გამსჭვალულნი ფარსმან ავაზის შორეული შთამომავალნი IV-V სს. რევიანები, რომელთა ღვაწლი ქართული კულტურის ისტორიაში განუზომლად დიდია...

ციცერონი გვარწმუნებს: „ისტორია ცხოვრების მასწავლებელია.“ ეს, ალბათ, მართლაც ასეა. იქნებ ამ მონათხრობმა გვასწავლოს კიდევ, როგორ ვიცხოვროთ, ან პირიქით, დავინახოთ, როგორ არ ღირს ცხოვრება...

უფლისწული რევ მირიანის ძე

სახელი რევი ქართულ სინამდვილეში ხშირი არ არის. „მოქცევაი ქართლისაი“ ამ სახელის მქონე სულ სამ პიროვნებაზე ამახვილებს ყურადღებას. ერთ-ერთი III ს. შუა ხანებში მოღვაწე ქართლის მეფე რევ მართალია, რომელიც იცნობდა „წმინდა წერილს“ და რომელმაც განახორციელა ქართველი ერის ისტორიაში უდიდესი ჰუმანური აქტი – აკრძალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა კერპთათვის. რევ (//ლევ) იყო პირველი ქრისტიანი მეფის მირიანის მამა, რევი ერქვა მირიანის ძესაც, რომლის მეუღლე, უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული თხზულების ავტორი დედოფალი სალომე უყარმელია (ან უჯარმელი). სწორედ ამ უკანასკნელს ეძღვნება ჩვენი შემდგომი თხრობა.

რევ მირიანის ძის შესახებ ინფორმაციას ვპოულობთ „მოქცევაი ქართლისაის“ ყველა ნაწილში. „წმ. ნინოს ცხოვრების“ მცირე რედაქციაში ის იხსენიება საჯვარე ხის შერჩევის ღონისძიებასთან დაკავშირებით, აგრეთვე წმ. ნინოს გარდაცვალების ეპიზოდში: რევის ბრძანებით მოიჭრა ხე, რევი თავს ადგა მომაკვდავ ქართველთა განმანათლებელს. „წმ. ნინოს ცხოვრებ“-ის ვრცელ რედაქციაში რევი წარმოგვიდგება მირიანის ანდერძის ერთ-ერთ ადრესატად. ქართლის ქრისტიანიზაციის საქმის ბოლომდე მიყვანას უბარებს მას მამა. ამ

რედაქციის ერთ-ერთ (პატიოსანი ჯვრის აღმართებისადმი მიძღვნილი) – მე-14 თავში რეკს ვხედავთ სწეული შვილის გამოჯანსაღებისათვის მლოცველს. განსაკუთრებით საგულისხმოა ისტორიული ქრონიკის მონაცემები რეკის შესახებ. აქედან ვიგებთ, რომ მირიანის შემდეგ მისი შვილიშვილი ბაკურ რეკის ძე გამეფებულა, თვით რევი კი სულის საცხონებელი საქმეებით ყოფილა ამ დროს დაკავებული: პატიოსანი ჯვრისათვის გუმბათი გაუკეთებია, გაუმზადებია თავის სამუდამო განსასვენებელიც „ქუემოსა ეკლესიასა“ (ე. ი. სვეტიცხოვლის ეკლესიაში), სადაც მეუღლითურთ დაკრძალულა კიდევ.

აღნიშნული ფაქტები ცხადყოფს, რომ რევი არ იყო აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისაკენ მიდრეკილი ადამიანი. იგი ღრმადმორწმუნე პიროვნებად წარმოგვიდგება, რომელიც უარს ამბობს სამეფო ტახტზე, რათა მთელი სააქაო ცხოვრება გარდაცვალებისათვის სამზადისად აქციოს. ქრონიკის მშრალი ცნობები გვიძლავნებს რეკის სახის ერთ მოულოდნელ შტრიხსაც – სითამამეს, უფრო ზუსტად, ამბიციურობას. საქმე ისაა, რომ მამამისმა ვერ გაბედა სამარე გაეკეთებინა „ქუემოსა ეკლესიასა“⁵ სასწაულთმოქმედი ცხოველი სვეტის სიახლოვეს, თუმცა ეს გულით ეწადა. მირიანს საკუთარი ცოდვილიანობის შეგნება აბრკოლებდა. მაგრამ ის, რაც ვერ გაბედა ადამიანმა, რომელსა ქართველთა ხსნის საქმეში უდავოდ განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა, რეკმა გააკეთა. სწორედ ამ ფონზეა მკაფიოდ თვალსაჩინო რეკის სითამამე.

რეკის პიროვნებაზე საუბრისას არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ ერთი მისტიკური წერილი, რომელსაც, ჩვენი აზრით, შეცდომით, X საუკუნის ავტორს იოანე ზოსიმეს უკავშირებენ და ლექსად მიიჩნევენ. სინამდვილეში ეს არის პროზაული ტექსტი და იოანე ზოსიმე მისი არა ავტორი, არამედ გადამწერია.

ამ ძეგლის დედაარსს ქართული ენის განსაკუთრებულობის მტკიცება წარმოადგენს, რაც გამოვლინდება მეორედ მოსვლის ჟამს: მაშინ ქართული მესიის ენა იქნება. უფალთან ქართული ენის სხვებზე მეტი სიახლოვე რომ თვალსაჩინო გახადოს, ავტორი ეძიებს ანალოგიას და „სახარებაში“ მის შესატყვისად, ქრისტეს უსაყვარლეს მოწაფესა და მეგობარს, ლაზარეს ასახელებს. წერილში ხაზგასმულია, რომ ქართული ენის არსება ცხადყოფილი არ არის, ამის გამო, ის არც სათანადოდაა დაფასებული, მაგრამ ქართული რომ ნამდვილად უფლის მიერ რჩეული ენაა, ამის დამადასტურებელი ფაქტები აწმყოშივე გვეძლევა სასწაულების სახით.

წერილი თარიღდება IV ს. შუა ხანებით (რ. პატარიძე, გ. ნარსიძე და სხვა) და კრიპტოგრაფიულად* („რ“ ინიციალით) არის ხელმოწერილი (ე. ჭელიძე). თვალშისაცემია ავტორის ყურადღების კონცენტრირება არაყოფით ფაქტებზე, ღვთისმოსაობასთან შეხამებული უჩვეულო ამბიციურობა. ეს ყოველივე მოღვაწეობის დროის, ინიციალის, ფსიქოლოგიური ტიპის

⁵ ასე ეწოდებოდა იმ ხის ეკლესიას, რომელიც პირველად აიგო მცხეთაში. შემდგომში ამ ეკლესიის ადგილას ვახტანგ გორგასალმა აღმართა ქვის ტაძარი. დღეს ამ ადგილას არის სვეტიცხოვლის ტაძარი, რომელიც აიგო XI საუკუნეში.

იგივეობრიობასთან ერთად ქმნის საფუძველს იმისათვის, რათა ვიგარაუდოთ: ხსენებული წერილის ავტორი, ჩვენი აზრით, რეგია.

ქრისტიანობას ქართველთა თვალსაწიერში შემოჰყავდა სხვა ერები, შემოჰქონდა ახალი კულტურული ფასეულობანი. ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის შერწყმა პირველ ხანებში მტკივნეული პროცესი უნდა ყოფილიყო. ჩანს, ამით იხსნება ზემოთ მითითებულ წერილში გამოხატული გამძაფრებული ეროვნული გრძნობა, ავტორისა და მისი თანამოაზრის ფიქრი ქართველთა ადგილზე ქრისტიანულ სამყაროში.

რეგსა და სალომეს, როგორც ეს „მოქცევაი ქართლისაისა“ და ზოგი სხვა ქართული თუ უცხოური წყაროს შეჯერებით ირკვევა, ჰყავდათ სამი ვაჟი – ბაკური, თრდატი, არჩილი და ერთი ასული, რომლის სახელი უცნობია. ბაკურსაც, თრდატსაც, არჩილსაც მორიგეობით ეკავათ სამეფო ტახტი, სამივე უაღრესად მორწმუნე პიროვნება იყო. ზოგჯერ ეს მორწმუნეობა (მაგალითად, არჩილის შემთხვევაში) უკიდურესი ასკეტიზმის ფორმას ღებულობდა. აღნიშნულ მეფეთაგან, მხოლოდ თრდატს ჰყავდა შვილები. ბაკურ თრდატის ძე ის „ფრიად სარწმუნო ბაკურია“, რომელმაც გელასი კესარიელსა და რუფინუს აკვილეველს ქართველთა გაქრისტიანების ისტორია მოუთხრო. ეს იყო უაღრესად ჰარმონიული პიროვნება, შესანიშნავი მხედართმთავარი და ფილოსოფოსი, წინდახედული სახელმწიფო მოღვაწე. მეოთხე თაობის რევიანებს შორის კი მხოლოდ ერთს ვხედავთ. ესაა ბაკურის დიშვილი მურვანოსი, იგივე პეტრე იბერი – იმდროინდელ საქრისტიანოში სახელგანთქმული, პალესტინაში მოღვაწე ასკეტი. ზოგი მკვლევარი (შ. ნუცუბიძე, ე. ჰონიგმანი) ამ პიროვნებას ფსევდო-დიონისე არეოპაგელის სახელით ცნობილი თხზულების ავტორად მიიჩნევს. პეტრე ბავშობიდანვე იყო გაგზავნილი ბიზანტიაში (პაპის – ბაკურ რევის ძისა და ბიძის – ბაკურ თრდატის ძის მსგავსად) იმ იმედით, რომ განათლებისა და სახელმწიფო მოღვაწეობაში გამოცდილების მიღების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებოდა და ქვეყნის სადავეებს ჩაიბარებდა. დიდი სულიერი ტკივილის მიუხედავად, პეტრემ უარი თქვა სამშობლოში დაბრუნებაზე, ბერად აღიკვეცა და მთელი სააქაო ცხოვრება თავისი დიდი პაპის – რევის მსგავსად, საიქიო ცხოვრების სამზადისად აქცია. რევ მირიანის ძის პიროვნების გაგება გარკვეულწილად პეტრე იბერიის საშუალებით შეიძლება; თავის მხრივ, რევიც ადასტურებს პეტრეს ღრმა ფესვებს ქართული ქრისტიანული კულტურის წიაღში.

მეფე ბაკური ძე რევისი

IV ს. 30-იან წლებში ქრისტიანობის სახელმწიფო იდეოლოგიად დამკვიდრებას მოჰყვა სივრცის საკრალიზების* გრანდიოზული პროგრამის განხორციელება, რომელიც მატერიალურად გამოიხატებოდა ახალი საკულტო ნაგებობების შექმნით. წყაროებში უხვად გვხვდება ცნობები ქართველი

ქრისტიანი მეფეების ინიციატივით წარმოებულ ეკლესიათა მშენებლობის შესახებ. მათ შორის ერთ-ერთი უძველესი წილკნის ეკლესია იყო.

„ამან ბაკურ დაიწყო წილკნისა ეკლესიისა (შენება – მ. ჩ.), და განიშორა ოცდამათხუთმეტესა წელსა“ – ვკითხულობთ „მოქცევაი ქართლისაის“ შატბერდულ რედაქციაში. ჭელიშური რედაქცია მშენებლობის ხანგრძლივობას ოცდათერთმეტი წლით განსაზღვრავს.

ბაკური, რომელიც მოყვანილ ნაწყვეტშია ნახსენები, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის შვილიშვილი და მისი უშუალო მემკვიდრეა. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, იგი მეფობს IV ს. II ნახევარში. XI ს. ისტორიკოსი ლეონტი მროველი ბაკურს (//ბაქარს) მირიანის შვილად მიიჩნევს. ამ შემთხვევაში, „მოქცევაი ქართლისაის“ ცნობა უნდა იყოს სწორი. საქმე ის არის, რომ ამ ძეგლისათვის დამახასიათებელია ფაქტების ფიქსაცია-შენახვა, რაც ფაქტების დამახინჯების შესაძლებლობას ამცირებს მაშინ, როცა ლეონტი ინტერპრეტატორია, კრიტიკულად უდგება წყაროებს და ხშირად ცვლის მათ მონაცემებს. მან, ჩანს, არაბუნებრივად მიიჩნია უშუალოდ პაპის შემდეგ შვილიშვილის გამეფება, ეს ფაქტი ჩათვალა, როგორც პირველწყაროს შეცდომა და გააკეთა შესაბამისი შესწორება.

მამის – რევის სიცოცხლეში ბაკურის ტახტზე ასვლის მიზეზი, „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკის მონაცემების მიხედვით ამკარა ხდება. რევის არ იზიდავდა აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობა. მისი მთელი სააქაო ცხოვრება წარმოადგენდა სამზადისს გარდაცვალებისათვის, ამიტომ არაა გასაკვირი, რომ ამგვარი განწყობის პიროვნებას ნებაყოფლობით უარი ეთქვა ტახტზე, როგორც, ცოტა მოგვიანებით, ამას აკეთებს ასევე არამქვეყნიური საზრუნავით მოცული რევის შვილიშვილი, პეტრე იბერი.

ბაკურის დედაა სალომე უფარმელი – წმინდა ნინოს შესახებ თვითმხილველთა მოგონებების შემდგენელი ანუ „წმ. ნინოს ცხოვრების“ უძველესი რედაქციის ავტორი. არსებითად უცვლელი კომპოზიციით ეს თხზულება შემოგვინახა „მოქცევაი ქართლისაიმ.“ ქართული ქრისტიანული მწერლობის ეს პირველი მრავალმხრივ სამაგალითო ძეგლი ბაკურის ზეობაშია შექმნილი.

ბაკურს ჰყავდა ორი ძმა თრდატი და არჩილი. მოგვიანებით მათ ვხედავთ სამეფო ტახტზე. ჩანს, ბაკური უფროსი იყო. მისი გამეფება პირველად ამაზე მეტყველებს. ჰყავდათ დაც, რომლის სახელი უცნობია.

ბაკურ რევის ძე იყო ბიძა ბერძნულ-ლათინურ წყაროებით კარგად ცნობილი, „ფრიად სარწმუნო ბაკურისა“, ფიზიკური და სულიერი სიმშვენიერით გამორჩეული იმ პიროვნებისა, რომელმაც IV ს. მიწურულში ბიზანტიელ ისტორიკოსებს ქართველთა გაქრისტიანების შესახებ მოუთხრო. უცხოეთში მოღვაწე სახელგანთქმულ ქართველ ასკეტს, პეტრე იბერს ბაკურ რევის ძე ერგებოდა პაპად; ზუსტად იგი იყო პეტრეს პაპის ძმა დედის ხაზით. პეტრე იბერის სირიულ „ცხოვრებაში“ (VI ს.) ბაკური იხსენიება ეპითეტით – „დიდი“.

ბაკურ რევის ძის მეფობა საკმაოდ ხანგრძლივი ჩანს: სამ ათეულ წელზე მეტი წილკნის ეკლესია უშენებია, მშენებლობას კი ტახტზე ასვლის შემდგომ გარკვეული დროის გასვლის შემდგომ შედგომია.

ბაკურს მემკვიდრეები არ დარჩენია. ამაზე მეტყველებს ის, რომ მის შემდგომ, გამეფდა მისი ძმა თრდატი. საინტერესოა, რომ თრდატის ორივე შვილის სახელი (ბაკური და ბაკურდუხტი) მის უფროს ძმას ანუ ბაკურს უკავშირდება. ეს ფაქტი არ უნდა იყოს შემთხვევითი. იგი რევის ოჯახის წევრთა შორის სათუთი ურთიერთობის მაჩვენებელია.

ბაკური დაუკრძალავთ „ქუემოსა ეკლესიასა“ – პირველ ქართულ ქრისტიანულ ტაძარში (დღევანდელი სვეტიცხოვლის ადგილას). აქ რევმა საძვალე შექმნა სასწაულმოქმედი სვეტის სიახლოვეს და განისვენებდა მეუღლესთან ერთად. ჩანს, მშობლების გვერდით დაუკრძალავთ ბაკური.

ბაკურ რევის ძის საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულება იყო ქვეყნის ქრისტიანიზაციის პროცესის გაღრმავება, ერის შემდგომი კონსოლიდაცია იდეოლოგიური ერთიანობის საფუძველზე. მირიანის დროს გაძნელდა მთიელთა მოქცევა, აუცილებელი გახდა ძალის გამოყენება. ამიტომ იყო, რომ რევს მირიანი კავკასიანთა შორის კერპთაყვანისმცემლობის აღმოფხვრას უბარებდა ანდერძად. ეს ანდერძი განახორციელა ბაკურმა და „უმრავლესნი კავკასიანნი“ მან მოაქცია, ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ ქართლის გაქრისტიანება ერთი ქვეყნის ისტორიის ფაქტიდან ექცია რეგიონული მნიშვნელობის ფაქტად. სწორედ ამის გამო, პეტრე იბერიის სირიული „ცხოვრების“ ავტორს იგი მიაჩნია ქართლის პირველ ქრისტიან მეფედ. ჩანს, აღნიშნული მოვლენის გამო, მისი მოღვაწეობა, უცხოელის თვალთ ასე აღიქმებოდა.

მთიელთა მოქცევისათვის გაწეულ ღონისძიებათა დაგვირგვინება და ლოგიკური შედეგი იყო ეკლესიის მშენებლობა წილკანში. წილკნელები იყვნენ მათ შორის, რომელნიც სულ ცოტა ხნის წინ კერპების ერთგულნი „იღრჭენდეს კბილთა მათთა წმიდისა ნინოსათვის“. ეკლესია აფუძნებდა ახალ საკრალურ ცენტრს, ახალ საზღვარს საქრისტიანოსა და საწარმართოს შორის.

ბაკურს ქვეყანაში „მღვდელნი და დიაკონნი“ გაუმრავლებია. მის დროს, მთავარეპისკოპოსის საყდარზე, წმ. ნინოს ანდერძის თანახმად, ასულა განმანათლებლის უახლოესი თანამოღვაწე იაკობი, რომელიც საფიქრებელია, იყო მეფის საეკლესიო პოლიტიკის აქტიური გამტარებელი.

მოქნილობით, გონიერებით გამოირჩევა ბაკურ რევის ძის საგარეო პოლიტიკა. გამეფებამდე იგი, ფაქტობრივად, მძევლად იმყოფებოდა ბიზანტიაში: მის დაბრუნებას სამშობლოში ლეონტი მროველი განიხილავს, როგორც ორ ქვეყანას შორის ნდობის დამკვიდრებას. ქრისტიანული სარწმუნოების ნიადაგზე, ბუნებრივია, ვიფიქროთ, რომ ბაკურს შემდგომაც კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბიზანტიასთან. თუმცა, როგორც ირკვევა, არც სპარსელებთან წყვეტდა ურთიერთობას. მათაც „ეზრახა“ თურმე და საშინაო საქმეთა მოგვარებას ცდილობდა ორი მტრული ძალის შემწეობით „შუამდგომლობითა ბერძენთა მეფისა და სპარსთა მეფისათა.“

პოლიტიკურ სამყაროში ბაკურის მნიშვნელობას კარგად აჩვენებს ფაქტი, რომელიც არწერილი აქვს პეტრე იბერიის სირიული „ცხოვრების“ ავტორს. სპარსთა ლაშქარში სამოკავშირეო ხელშეკრულებით მყოფმა ბაკურმა, ყველა სხვა სარდლისაგან განსხვავებით, თავი არ სცა მზეს და ამის მიზეზად თავისი ქრისტიანობა დაასახელა. ამგვარი გულახდილობით განცვიფრებულნი და შეურაცხყოფილნი დარჩენილან სპარსელები, მაგრამ იძულებულნი გამხდარან მოეთმინათ „ეს არის ბაკურიოსი და ჩვენ ის გვჭირდება, რა უნდა ვუყოთ მას“, – უთქვამს სპარსთა მეფეს თავისიანებისათვის.

„ყოველნი დღენი ცხოვრებისა მისისანი დიდსა სარწმუნოებასა შინა აღასრულნა“ – ასე აჯამებს ბაკურზე მონათხრობს ლეონტი მროველი. პეტრე იბერიის ბიოგრაფი, ამ თვალსაზრისით, კონკრეტულ, მეტად შთამბეჭდავ ფაქტებს გვაწვდის. იგი მოგვითხრობს, რომ ბაკური ზედმიწევნით მისდევდა მარხვას, ლოცვას, მოწყალების გაცემას. კვირაში სამჯერ საკუთარი ხელით გვიდა ქალაქის ეკლესიას, თავის დამცირებად არ თვლიდა სასახლეში ემზადებინა საჭმელი და თვითონვე წაელო ღარიბთა თავშესაფარში.

ასეთი იყო ბაკურ რევის ძე: ახლობლებთან ურთიერთობაში მოსიყვარულე, პოლიტიკურ პარტნიორებთან მიმართებაში – მოქნილი, პრინციპული, ღირსეული, ღმერთის წინაშე – მორჩილი.

მეფე ბაკური ძე თრდატისი

ბაკური, რომელსაც ეს წერილი ეძღვნება, ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის ძირიანის ძის – რევის შვილიშვილია. სალომე უჩარმელი – წმიდანინოსადმი მიძღვნილ მოგონებათა კრებულის შემდგენელი – მისი დიდებაა. სალომესა და რევს ოთხი შვილი ჰყავდათ: სამი ვაჟი: ბაკური, თრდატი, არჩილი და ერთი ასული, რომლის სახელი უცნობია, შუათანა ვაჟის – თრდატის ძეა ბაკური, V საუკუნის I ოცწლეულში ვხვდავთ მას ქართლის სამეფოს ტახტზე.

ბაკურ თრდატის ძის შესახებ ცნობები შემოგვინახეს ქართულმა, სომხურმა, ბიზანტიურმა (ბერძნულ-ლათინურმა), ასურულმა, ინფორმაციულობის თვალსაზრისით, მეტად მაღალი ღირებულების წყაროებმა. მიუხედავად ამისა, ქართლის ამ მეფეს ფართო მკითხველი თითქმის არ იცნობს. ამის მიზეზი ის არის, რომ ბაკურის შესახებ არსებული სხვადასხვა წყაროების მონაცემები სათანადოდ სისტემატიზებული და ერთიანობაში გააზრებული არ ყოფილა.

X X X

პირველად, ისტორიულ წყაროებში ბაკური 378 წელს მომხდარ აღრიანოპოლის ბრძოლასთან დაკავშირებით გვხვდება. მას იხსენიებს IV საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი ამიანე მარცელინი. ამ დროს ბაკური უკვე

სარდალია, ე. ი. ბავშვი აღარ არის, თუმცა არც ჭაბუკური ასაკიდან ჩანს გამოსული. ამაზე მეტყველებს ის არაჩვეულებრივი, მემატინის სიტყვით, თავშეუკავებელი სიფიცხე, რასაც ბაკური ამ ბრძოლაში იჩენს. აქედან გამომდინარე, პერიოდი, როცა ბაკურის დაბადება უნდა ვივარაუდოთ, IV საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნით განისაზღვრება.

ასევე მიახლოებით შეგვიძლია ლაპარაკი ბაკურის გარდაცვალების თარიღზეც: 416 წლის შემდგომ, იგი წყაროებში აღარ ჩანს. 422 წელს კი ქართლის სამეფოს ტახტზე უკვე ვხედავთ არჩილს. მას და ბაკურს შორის, „მოქცევაი ქართლისაი“ კიდევ ორ მეფეს – ფარსმანსა და მირდატს ასახელებს. ამგვარად, ამ მოკლე ქრონოლოგიურ მონაკვეთში (416-422 წწ.) თავსდება ბაკურის მმართველობის ბოლო პერიოდი, ფარსმანისა და მირდატის მეფობა მთლიანად, არჩილის მეფობის დასაწყისი. აქედან ცხადია, რომ ბაკური 60 წელს მიტანებული, 416 წლისთვის გარდაცვლილა. V საუკუნის დასაწყისში კი, მაშინ, როცდესაც მის მიერ ტახტის დაკავება საფიქრებელი, იგი ოთხ ათეულ წელზე ცოტა მეტი ხნის უნდა იყოს.

გამეფებამდე ხანგრძლივი დრო (IV საუკუნის ბოლო მეოთხედი) ბაკურმა ბიზანტიაში გაატარა. ტახტის მემკვიდრის გარკვეული ხნით ბიზანტიაში ყოფნა ბიზანტია-ქართლის მეგობრული ურთიერთობის აღმნიშვნელი პოლიტიკური ჟესტი ჩანს. ასე იყო ადრე გაგზავნილი კეისრის კარზე ბაკურის ბიძა – ბაკურ რევის ძე (უცხოური წყაროების მიხედვით „დიდი ბაკური“), მოგვიანებით კი ბაკურის დისწული მურვანოსი, ბერად აღკვეცის შემდეგ, პალესტინაში მოღვაწე პეტრე იბერი.

საჭიროების შემთხვევაში, ქართველი უფლისწული, რომლის ბიზანტიაში ყოფნას დიპლომატიური წარმომადგენლობის მნიშვნელობაც ჰქონდა, დგამდა სათანადო ნაბიჯებს. მაშინ, როცა მაზდეანური ირანის შემოტევა ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყანაზე განსაკუთრებულად საშიშ ხასიათს იღებს და ქართლს ესაჭიროება თანადგომა, ბაკური ბიზანტიის მოწინავე საზოგადოებრიობას ახსენებს ქართველთა გაქრისტიანების ისტორიას და თან დაჟინებით უსვამს ხაზს ქართლის მიერ გადადგმული ამ ნაბიჯის პოლიტიკურ მნიშვნელობას, მის სარგებლიანობას ბიზანტიისათვის. ცხადია, ეს აქცენტი ქართველი დიპლომატის მონათხრობში შემთხვევითი არ არის: ბაკური ცდილობს ბიზანტიის მხარდაჭერის მოპოვებას და აწმყოში თანამშრომლობისათვის ისტორიულ წინამძღვრებს წარმოაჩენს.

ბიზანტიაში ყოფნა ქართველი უფლისწულისათვის უთუოდ დიდი სკოლა იყო: თვალსაწიერის გაფართოება, მრავალმხრივი სამზადისი მისი მომავალი სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისათვის. ბაკურს აქ არაერთი საომარი ოპერაციის მონაწილედ ვხედავთ, სადაც მას თავისი მხედრული თუ მხედართმთავრული ძალის გამოცდის საშუალება ეძლევა. ამავე დროს, მას ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს ბიზანტიის – იმდროინდელი მსოფლიოს კულტურული ცენტრის ინტელექტუალურ ელიტასთან.

ბაკურის ცხოვრების სწორედ ამ პერიოდის შესახებ შემოგვინახა ცნობები ბიზანტიურმა ისტორიულმა წყაროებმა. ამ მასალებიდან ჩანს, რომ ბაკური

მშვენიერი იყო როგორც სულით, ასევე სხეულით: ბრძენმა და ჩაუქმა არ იცოდა ბრძოლაში შიში, იყო განათლებული და ღვთისმოსავი. საილუსტრაციოდ რამდენიმე ამონაწერს მოვიყვან. აი, როგორ დამოკიდებულებას ამჟღავნებს ბაკურისადმი ცნობილი ბიზანტიელი ისტორიკოსი რუფინუსი, ვისაც ბაკურმა ქართველთა გაქრისტიანების ისტორია მოუთხრო: „რომ ყველაფერი ასე მოხდა, ჩვენ გვიამბო ფრიად სარწმუნო კაცმა ბაკურმა, თვით ამ ხალხის მეფემ, რომელიც ჩვენში იყო დომესტიკთა* კომსი*. იგი უაღრესად ზრუნავდა როგორც მორწმუნეობაზე, ისე ჭეშმარიტებაზე, როდესაც ჩვენთან ერთად ცხოვრობდა სრულის ერთსულოვნებით იერუსალიმში. მაშინ ის იყო პალესტინის საზღვრების სარდალი“.

V საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის ზოსიმეს ცნობით, 394 წელს, საომარი ოპერაციების დროს, „სარდალთა შორის უმამაცესი ბაკური ყველა თავისიანზე უფრო წინ იბრძოდა“. ბაკურის სიმამაცეს ბრძოლაში, გიორგი ამარტოლიც (IX საუკუნე) ხაზგასმით აღნიშნავს. ამასთან იგი აღნიშნავს, რომ ბაკური იყო „კაცი ყოველად ღირსეული როგორც რწმენით და სათნოებით, ისე სულიერი და ხორციელი სიკეთით“.

ქართველი უფლისწულის სახე ყველაზე შთამბეჭდავად მაინც ცნობილი მოაზროვნის, ლიბანიოსის წერილში ჩანს. ამ წერილის ადრესატი თავად ბაკურია. აი, რას ვკითხულობთ ამ წყაროში: „შენი წერილი შეიცავდა ისეთ აზრებს შენს შესახებ, როგორსაც, ჩვეულებრივ, მეგობრების წრეში გამოვთქვამთ ხოლმე, რადგან დიდ სიამოვნებას განვიცდით იმ ქებათაგან, რომელსაც გძენს შენი ბუნებრივი ნიჭი. ზოგი აქებს შენს სამართლიანობას... ზოგი კი აღიძებს შენს ზომიერებას და იმას, რომ უფრო მეტად ბრძანებლობ ვნება-სურვილებს, ვიდრე ჯარისკაცებს. სხვა კიდევ აქებს შენს სიბრძენს, რომლის წყალობით იმარჯვებ ბრძოლაში. იყო ისეთიც, რომელიც ამბობდა, რომ შენს სულს არ მიჰკარებია არავითარი შიში რაიმე საფრთხის წინაშე. მე კი შენს ღირსებათაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვნად მეჩვენება ის, რომ შენ გიყვარს ლოგოსები (ე. ი. მეცნიერება – მ. ჩ.) და ისინიც, ვინც ლოგოსებს მისდევენ“.

ასეთია ახალგაზრდა ბაკური. ეჭვი არაა, იგი განეკუთვნებოდა ადამიანთა იმ ტიპს, რომლებიც საზოგადოებაში სარგებლობენ განსაკუთრებული სიმპათიით. სიმამაცის, სიჩაუქის, სიფიცხის შეხამება სათნოებასთან, ღვთისმოშიშებასთან, მაღალ ინტელექტთან ანუ ჯანსაღი სხეულისა და ჯანსაღი სულის ჰარმონია, ასე იშვიათი ყოველ დროში, არის ბაკურით ამგვარი აღფრთოვანების მიზეზი; ხიბლი, რომელიც უთუოდ ჰქონდა ბაკურს, რა თქმა უნდა, მისი ინდივიდუალური, პიროვნული მახასიათებელია, მაგრამ უცხოელთა წინაშე გამორჩეული ღირსეულობით თავის დაჭერაში, უეჭველად მჟღავნდება ხასიათის ზოგადქართული შტრიხიც. ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთში უძველესი დროიდან დღემდე, სამშობლოსაგან შორს მოღვაწე ქართველებში ხშირად განსაკუთრებული სიმძლავრით იჩენს თავს ქართველი კაცის ერთ-ერთი უმთავრესი თვისება – თავმომწონეობა. სახელის სიყვარული (ხომ ფაქტია: უდიდესი ქართველის აზრი იმის შესახებ, რომ „სჯობს სახელისა მოხვეჭა

ყოველსა მოსახვეჭელსა“, – ქართველთაგან არავის ერვენება პარადოქსულად!). ამიტომ, ვფიქრობ, რომ სხვის ომში თავგანწირვით მებრძოლი, თუ საკუთარ ვნება-სურვილთა დამთრგუნავი ქართველი უფლისწულის ქცევა ეროვნული ფსიქიკითაც იყო დიდწილად განპირობებული.

ბაკურის მმართველობის ხანა, პოლიტიკური თვალსაზრისით, საქართველოს ისტორიის მძიმე პერიოდზე მოდის. აღმოსავლურ-ქართული სახელმწიფოს მესვეურთა წინაშე კვლავ მთელი სიგრძე-სიგანით დგას ირანთან ურთიერთობის საკითხი, რომლის შემოტევა ამიერკავკასიის ქრისტიანულ ქვეყნებზე სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებს. ბაკურის უშუალო წინამორბედის – ვარაზ-ბაკურის დროს, ირანელები ქართლის შუაგულამდეც კი აღწევენ და ხარკს ადებენ ქვეყანას. ქართლს იმედის თვალი ბიზანტიისაკენ აქვს მიპყრობილი, მაგრამ ბიზანტია, დაკავებული თავისი პრობლემებით, ამიერკავკასიის დასახმარებლად ვერ იცლის. ირანთან ურთიერთობის გამწვავება ბიზანტიას არც აწყობს. ამგვარად, ძლიერი მტრის პირისპირ ქართლი, თუ არ ჩავთვლით თავად შეჭირვებულ სომხეთსა და ალბანეთს, მარტოა და თან ერთ მუშტადაც არაა შეკრული: გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ სწორედ ამ დროს იკვეთება ქვემო ქართლის მმართველი ძლიერი ფეოდალური სახლის სეპარატიზმი, რომელიც მოგვიანებით, V საუკუნის II ნახევარში, ასე თვალსაჩინოდ გამოიკვეთება, მკითხველისათვის კარგად ცნობილი, ვარსქენ პიტიანშის მიერ გადაგზულ ნაბიჯებში. ბაკური კი, მიუხედავად ყოველივე ამისა, ახერხებს ვითარების სტაბილიზაციას; საინტერესოა, როგორ?

თავის მოღვაწეობას ბაკური ეკლესიის აგებით იწყებს. ესაა ბოლნისის სიონი – ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ძეგლი. ის ფაქტი, რომ ქართლისათვის დიდი საგარეო საფრთხის პირობებში, ბაკურმა, პირველ რიგში, ქრისტიანული ტაძრის მშენებლობა განიზრახა, გვიჩვენებს: მას კარგად ესმოდა ირანთან უთანასწორო ბრძოლაში ქართლისათვის იდეოლოგიური იარაღის – ქრისტიანობის მნიშვნელობა. ამასთან, ბაკურის მიერ წამოწყებული, მოცულობითაც და ხარისხითაც გრანდიოზული მშენებლობა ქვემო ქართლში ხაზს უსვამდა მცხეთელი მეფის უფლებებს სეპარატიზტულად განწყობილი პიტიანშის საგამგებლოში. ასე, რომ „ეკლესიაი ბოლნისს“ ღვთისმოსავი მეფის მარტოოდენ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაღებული ხარკი არ არის. ამ ნაბიჯს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი დატვირთვა ენიჭება ბაკურის სამოღვაწეო პროგრამაში.

„იმიერ განვიდა და განაახლნა არმაზნი სპარსთა შიშისათჳს“ – „მოქცევაი ქართლისაის“ ეს ცნობა, რომელიც ნათლად აჩვენებს, რომ ბაკური მარტო სალოცავებზე არ ამყარებდა იმედებს, ციხეების გამაგრებაზეც ზრუნავდა, განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს. მკითხველის ყურადღებას, ამ შემთხვევაში, მხოლოდ ერთ მომენტს მივაქცევდი: იგი, ვის სულსაც „არ მიჰკარებია შიში არავითარი საფრთხის წინაშე“, ვისაც „ფიცხი იერიშით თავშეუკავებლად“ ბრძოლის წინა ხაზზე გაჭრით საკუთარი სიცოცხლის

საფრთხეში ჩაგდება იოლად შეეძლო, რა ფრთხილი და წინდახედულია, როცა საქმე მთელი ქვეყნის ბედს შეეხება.

დასასრულს, მინდა აღვნიშნო ფაქტი, რომელიც ჩვენი აზრით, ბაკურის პიროვნების წარმოსაჩინად განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ესაა, მის მიერ ჯერ კიდევ წარმართულ ეპოქაში შექმნილი ქართული ასომთავრული დამწერლობის შენარჩუნება.

საქმე ისაა, რომ V საუკუნის დასაწყისში, მაზდეანური ექსპანსიის საფრთხის საპასუხოდ, მთელ ამიერკავკასიაში ძლიერდება ქრისტიანიზაციის პროცესი. ამ, თავისი არსით, პოლიტიკურ მოძრაობას სათავეში უდგებიან სომეხი მოღვაწეები, როგორც ირანისაგან განსაკუთრებით შევიწროებული ქვეყნის წარმომადგენლები. ისინი წარმართობის ჯერ კიდევ ძლიერი ნაშთების აღმოფხვრას ისახავენ მიზნად. დაახლოებით 416 წლისათვის ქართლში ჩამოდის ცნობილი სომეხი ქრისტიანი მოღვაწე მესროპ მაშტოცი, რომლის აქ სამოქმედო პროგრამის ერთ-ერთი მთავარი პუნქტია ქართული ასომთავრულის, როგორც წარმართული ეპოქის არათუ ნაშთის, არამედ ცოცხალი ნაწილის, ახლით შეცვლა. მეფე ბაკური ამ ავტორიტეტულ პიროვნებას მისთვის შესაფერი პატივით იღებს, მუშაობისათვის სათანადო პირობებს უქმნის, მაგრამ მის მიერ შემოთავაზებულ ანბანს არ ამკვიდრებს. ამას ის გარემოება ადასტურებს, რომ მეცნიერთა აზრით, ასომთავრულში განსახიერებულია წარმართული მსოფლმხედველობა, რაც, ბუნებრივია, გამორიცხავს იმას, რომ იგი წარმართობის წინააღმდეგ საგანგებოდ მებრძოლი ქრისტიანი მოღვაწის ნახელავი შეიძლება იყოს.

აქ უნდა გავიხსენოთ შემდეგიც: სანიმუშო ქრისტიანი ბაკური ხომ, ამავე დროს, წარმართი ფილოსოფოსის, ლიბანიოსის მეგობარი იყო. ამასთან, ეს არის მისი ერთ-ერთი უმთავრესი დამსახურება: ბაკურის მეფობის დროს მიღებული სწორედ ამ მართებულ გადაწყვეტილებას შედეგია, რომ ქართული ასომთავრული ანბანი – ქართველი ერის ისტორიის წარმართული და ქრისტიანული ეპოქების შემაკავშირებელი ეს ხიდი არ დაირღვა და იგი მთლიანი ქართული კულტურის ხერხემლად გვევლინება.

ბაკურს არ განუვრცელებია საქართველო „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, როგორც დავით აღმაშენებელს; მის დროს საკმაოდ შეჭირვებულია ჩვენი სამშობლო, მაგრამ ხანმოკლე შესვენება, რომელიც ბაკურის მმართველობამ მოიტანა, სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო ბრძოლებით დაღლილი ქვეყნისათვის სულმოსათქმელად, და თან ამ „ფრიად სარწმუნო კაცმა“ დაგვიტოვა ბოლნისის სიონი, ქართული ჯიშის ხიბლი აგრძნობინა უცხოელთ...

„ნელადრე შეკრბა ქართლი“

„მოქცევაი ქართლისა“ არის ძველქართული ისტორიული თხზულება, რომელიც, როგორც ამას სათაურიც აჩვენებს, ქართველთა გაქრისტიანებას

ედგნება. ამასთან ერთად, მოკლე ქრონიკის სახით აქ მოთხრობილია ქართლის⁶ ისტორია ძვ. წ. IV საუკუნიდან ახ. წ. VII საუკუნის შუა ხანამდე. ამ ქრონიკის ერთ ადგილს მინდა მივაპყრო მკითხველის ყურადღება. საქმე ეხება რთულ ისტორიულ მოვლენას – ქართლში ეროვნული უზენაესი საერო ხელისუფლების (მეფობის) შეწყვეტას და გარკვეული დროის მერე მის ერისმთავრობის ფორმით აღდგენას:

„და შემდგომად მისა მეფოდა ბაკურ... და მის ბაკურის ზევე დაესრულა მეფობაი ქართლისაი. მაშინ მცხეთაი ათხელდებოდა და ტფილისი ეშენებოდა. არმაზნი შემცირდებოდეს და კალაი* განდიდდებოდა. სპარსნი უფლებდეს ქართლს და სომხეთს და სიენიეთს* და გუასპურაგანს*. და კათალიკოსი იყო სამოველ და ნელადრე შეკრება ქართლი. და განაჩინეს ერისთავად გუარამ...“

„მოქცევაი ქართლისაი“ პირდაპირ ქრონოლოგიურ მონაცემებს არ შეიცავს, ამიტომ აღნიშნული ფაქტის დათარიღებისთვის უნდა მიემართოთ სხვა წყაროებს. მეორე უმნიშვნელოვანეს ძველქართულ ისტორიოგრაფიულ ძეგლში „ქართლის ცხოვრებაში“ შენიშნულია, რომ მეფე ბაკური, რომელიც შემდგომაც ქართლში „მეფობაი დაესრულა“, ე. ი. შეწყდა, იყო სპარსეთის მეფის, „ურმიზდის“ თანამედროვე, ესაა ირანის შაჰი ჰორმიზდ IV, მისი ზეობა განისაზღვრება 579-590 წლებით. ამრიგად, უზენაესი საერო ხელისუფლება ქართლში შეწყვეტილია VI ს. უკანასკნელ ოცწლეულში.

„ქართლის ცხოვრებისავე“ ცნობით, მეფობის შეწყვეტა გამოიწვია იმან, რომ ბაკურს გარდაცვალების შემდეგ მცირეწლოვანი შვილები დარჩა, „რომელნი იპყრობდა მეფობასა“. ამგვარი რამ, ცხადია გამოსარიცხი არ არის, მაგრამ ეს მაინც უფრო საბაბი ჩანს, ვიდრე მიზეზი. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ აშკარაა: „მეფობის დასრულებას“ სპარსთა ხელისუფლების გაძლიერება მოჰყვა ქართლში, მიუხედავად იმისა, რომ VI ს. 80-იანი წლების ბოლოს, ირანი შიდა პოლიტიკურ კრიზისს განიცდის და შაჰ ხოსრო II ფარვიზს (590-628 წწ.) ბიზანტიის სასარგებლოდ ტერიტორიალურ დათმობებზეც უხდებოდა წასვლა. ამ დროს, კერძოდ კი, 591 წლიდან, ქართლი თბილისამდე ბიზანტიის პროტექტორატის ქვეშაა.

ირანის გავლენის სფეროში ქართლის პოლიტიკური ცხოვრების შესახებ წარმოდგენა შეგვიძლია შევიქმნათ ქართული და უცხოური ისტორიული წყაროების მეშვეობით. ქვეყანას უშუალოდ განაგებდა შაჰის დიდმოხელე, რომელიც იწოდებოდა მარზპანად. იგი თავის ძალაუფლებას ადგილებზე ახორციელებდა ციხისთავის⁷ (საფიქრებელია, ასევე ირანელი მოხელის, საშუალებით. ქვეყნის ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობდნენ და გარეგნულად ირანელებთან თანამშრომლობდნენ ქართველი წარჩინებულებიც.

⁶ ქართველთა სახელმწიფოს აღმნიშვნელი ძველი სახელწოდება. დღეს ამ ტერმინით აღინიშნება მხოლოდ ერთ-ერთი კუთხე საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში.

⁷ მიუხედავად იმისა, რომ თავად ტერმინი **ციხისთავი** ქართულია, საფიქრებელია რომ ამ შემთხვევაშიც ირანელ მოხელესთან გვაქვს საქმე.

მათ მოთავეობდა იერარქთა სამეული – ქართლის კათალიკოსის, ქართლის მამასახლისის, ქართლის პიტიახშის შემადგენლობით. პირველი მათგანი, როგორც ვხედავთ, ქართლის უზენაესი სასულიერო ხელისუფალია, უკანასკნელი ქვემო ქართლის საპიტიახშოს – ქართლის ერთ-ერთი შედარებით დამოუკიდებელი პროვინციის გამგებელი. მამასახლისის უფლებამოსილება მკვლევართა მიერ ზუსტად განსაზღვრული არაა. როგორც ვარაუდობენ, იგი სამეფო სახლის ანუ გვარის უფროსი წარმომადგენელი უნდა ყოფილიყო. „მამასახლისობა“ უფრო საპატიო მოვალეობა ჩანს, ვიდრე რეალური ძალაუფლება. თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ ქართლის მამასახლისს, გარკვეულ სფეროებში, მთელი ქვეყნის მასშტაბითაც განეხორციელებინა საერო ხელისუფლება, ოღონდ არა უზენაესი. ამას ის გვაფიქრებინებს, რომ ის წყაროებში კათალიკოსის შემდგომად დასახელებული.

ჩვენთვის უცნობია, უშუალოდ მეფობის შეწყვეტისთანავე, კონკრეტულად ვინ წინამძღვრობდა ქართველ დიდგვაროვანთ. მხოლოდ VII ს. დასაწყისიდან გვაქვს შესაბამისი ცნობები. ქართველ და სომეხ უმღლეს ხელისუფალთა შორის, ამ პერიოდში მიმდინარე საეკლესიო პოლიტიკური მიმოწერის მასალათა კრებულიდან, ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნიდან“ (შემოგვრჩა სომხურ ენაზე), ჩვენ ვიცით საუკუნის პირველ ათწლეულში მოღვაწე კათალიკოსის, მამასახლისის და პიტიახშის ვინაობა. ესენია: კირიონი, ადარნასე, არშუმა. ქართული ჰაგიოგრაფიული ქმნილება „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ კი გვისახელებს მომდევნო ათწლეულში მათ შემცვლელ პირთ: სამოელ, გრიგოლ, არშუმა. მესამე წევრი, როგორც ვხედავთ, იგივეა.

„მოქცევაი ქართლისაი“, ჩვეულებრივ, ასახელებს ქართლის მხოლოდ უზენაეს საერო და სასულიერო ხელისუფალთ. ამიტომ ადარნასეს, გრიგოლისა და არშუმას სახელთა ძიებას აქ ტყუილად დავიწყებთ. კირიონ ქართლის კათალიკოსი ქრონიკაში რატომღაც გამორჩენილია. იგი ნახსენები უნდა იყოს იქ, სადაც მცხეთის „დამცრობის“, თბილისის „განდიდების“, სპარსთა გაძლიერების პროცესია დაფიქსირებული. სამოელი კი სწორედ ის სამოველია, ვისი ზეობის ეპოქასაც ქართლის „ნელადრე შეკრების“ ფაქტს უკავშირებს ძველი ისტორიკოსი. კირიონი თავდადებული ეროვნული მოღვაწე ჩანს. როგორც „ეპისტოლეთა წიგნიდან“ ხდება ჩვენთვის ცნობილი, იგი ენერგიულ, თუმცა დიპლომატიურად უაღრესად შენიღბულ ნაბიჯებს დგამდა, რომლებიც მიმართული იყო ქვეყნის შინაგანი ერთიანობის განმტკიცებისა და ირანისაგან თავის დაღწევისაკენ. ბიზანტიასთან დასაპირისპირებლად ირანი მფარველობდა ქრისტიანობის არამართლმადიდებლურ მიმდინარეობებს, ე. წ. „სომხურ სარწმუნოებას“ (ანუ მონოფიზიტობას). კირიონმა დაიწყო სპარსელთა პოლიტიკური ბატონობის ამ იდეოლოგიური იარაღისაგან გამიჯვნა. მოახერხა კულტურულ-პოლიტიკურად გარკვეულად განკერძოებულ ქვემო ქართლის საპიტიახშოში* მღვდელთმსახურებაში ქართული მწიგნობრობის დამკვიდრება. კირიონი უაღრესად მოქნილი პოლიტიკოსი იყო, მაგრამ მდგომარეობას ის ურთულეობდა, რომ მის მოქმედებებს სომეხთა მესვეურები შაჰის კარზე დაუყოვნებლივ აძლევდნენ სათანადო შეფასებებს.

გამორჩეულ ეროვნულ მოღვაწედ წარმოგვიდგება სამოელიც. მის დროს ქართლში იმყოფებოდა სპარსეთიდან მოსული მოგვი გვირობანდაკი, რომელიც სწორედ ქართული საეკლესიო ცხოვრების ზეგავლენით გაქრისტიანდა და მონათლა კიდეც სამოელის ხელით. მონათვლის შემდეგ მას ეწოდა „ევსტათი“, რაც ბერძნულად „მტკიცედ მდგომს“ ნიშნავს. რწმენის შეცვლის გამო, სპარსელები ევსტათის სდევნიდნენ. სამოელი ყოველნაირად ცდილობდა მის მფარველობას, მოწამეობრივი აღსასრულის შემდეგ კი, ზრუნავდა მის პატივით დაკრძალვაზე. ევსტათის გაქრისტიანება, მისი უკომპრომისო ბრძოლა ქრისტეს რჯულისათვის, ქართული იდეოლოგიის, და უპირველესად, პირადად სამოელის დიდი გამარჯვება იყო.

კირიონისა და სამოელის ზეობა ემთხვევა მსოფლიო იმპერიების – ბიზანტიისა და ირანის ხანგრძლივი, ორივე მხარისათვის ძალაგამომცლებელი ჭიდილის დამამთავრებელ ეტაპს. რით იყო აღნიშნული ეპოქა ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის ხელსაყრელი? ეს იყო ზესახელმწიფოთა „მოუცლელობის“ ხანა, რამაც თავის აპოგეას* მიაღწია VII ს. 10-იან წლების დასასრულსა და 20-იანი წლების დასაწყისში. ირანმა ბიზანტიას პურიტ მდიდარი ეგვიპტე წაართვა (619 წ.), რითაც ფაქტობრივად სასიცოცხლო არტერია დაუხშო. მაგრამ ამის შემდეგ, სულ ორიოდე წელიწადში, ანუ 622 წელს გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა ბიზანტიამ. სწორედ მოწინააღმდეგეთა უკიდურესი დაძაბულობის ეს დრო – ირანის უკანასკნელი გამარჯვებიდან მის პირველ დამარცხებამდე ქართლში ეროვნული ხელისუფლების აღდგენის ხანად მოიაზრება.

ამრიგად, ერთი მხრივ, ერის მესვეურთა გონიერი მიზანმიმართული მოღვაწეობა ქვეყნის გაერთიანებისათვის, მეორე მხრივ, ხელსაყრელი საერთაშორისო პირობები, შესაძლებელს ხდიან გუარამის „განჩენას“ ერისმთავრად. საინტერესოა, რომ ქრონისტი აქცენტს შიდა პროცესზე აკეთებს, და მას თვლის გადამწყვეტად. „ტფილისისა მკვიდრთა დიდსა ეკლესიასა (შენება – მ. ჩ.) დაიწყეს. ნახევარსა იქმოდა ყოველი ერი, ნახევარსა ერისთავნი“ – შენიშნავს იგი თბილისის სიონის მშენებლობასთან დაკავშირებით. ეს, ალბათ, არცაა შემთხვევითი: ისტორიკოსი აშკარად ცდილობს გვაგრძნობინოს ეროვნული თანხმობის ის ატმოსფერო, რომელმაც, ჩანს, მნიშვნელოვნად განაპირობა დარღვეული სახელმწიფოებრივი ორგანიზმის აღდგენა.

ირანელთა გარნიზონი კვლავ იდგა თბილისში და დამპყრობთაგან საბოლოოდ გათავისუფლებამდეც ჯერ კიდევ მძიმე დღეები იყო გადასატანი, მაგრამ ეს იყო ქართლის თანდათანობით შეკრებისა და გაერთიანების ხანა.

ერისმთავარი სტეფანოზ I

„დიდი სტეფანოზ“ – ასე იხსენიებს „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკა ქართლის რიგით მეორე ერისმთავარს სტეფანოზ გუარამის ძეს. ეპითეტი „დიდი“ აღნიშნულ ძეგლში (მოიცავს პერიოდს ძვ. წ. IV საუკუნიდან

ახ. წ. VII ს. შუა წლებამდე), სტეფანოზის გარდა, მხოლოდ ვახტანგ გორგასალს ეწოდება. ამრიგად, ქრონიკის აზრით, ხსენებული ერისმთავარი, სახელოვანი მეფის რანგის სახელმწიფო მოღვაწეა. ეს გარემოება სტეფანოზის მიმართ ინტერესს გვიღვივებს.

თუ გავითვალისწინებთ „მოქცევაი ქართლისაის“ ისტორიული ქრონიკის ლაკონურ* სტილს საზოგადოდ, შეიძლება ვთქვათ, რომ ტექსტის მონაკვეთი მიძღვნილი სტეფანოზის ერისმთავრობის ეპოქისადმი, საკმაოდ ვრცელია. თუმცა უშუალოდ სტეფანოზს, აქ სულ ორი წინადადება ეთმობა – თხრობის დასაწყისში („და მისა შემდგომად ერისთავობდა სტეფანოზ, ძე მისი, ძმაი დემეტრესი და იქმოდა ეკლესიასა ჯუარისასა“) და ბოლოში („და ერისთავობდა იგივე დიდი სტეფანოზ და კათალიკოსი იყო ბართლომე მეორე“).

მცხეთის პირისპირ, იქ, სადაც არაგვი მტკვარს ერთვის, მთიდან ულამაზეს ველებს გადმოჰყურებს მცხეთის ჯვრის ეკლესია – ჩვენი ეროვნული კულტურის განძი და სიამაყე. აქ, როგორც გვაუწყებს უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ქმნილება „წმ. ნინოს ცხოვრება“, ჯერ კიდევ ქართლის გაქრისტიანების ხანაში აღმართეს სასწაულმოქმედი ხისაგან დამზადებული „ჯვარიპატიოსანი.“ იმ დღიდან მოყოლებული, ეს ადგილი იქცევა ქართველთა (და არა მარტო ქართველთა; ჯვრის თაყვანის საცემად აქ კავკასიის სხვადასხვა მხარიდანაც მოდიოდნენ) უწმინდეს სალოცავად. ქართლის პირველი ქრისტიანი მეფის, მირიანის ძე რევი ღია ცის ქვეშ მყოფ ჯვარს გუმბათით გადახურავს სწეული შვილის განკურნებისათვის მაღლიერების ნიშნად. ასევე უაღრესი მოწიწებისა და სასოების გამო, სტეფანოზ ერისმთავარი ხის ჯვარპატიოსანს უკეთებს ბუდეს. ქვაჯვრის შექმნის ფაქტზე მეტყველებს მისი შემორჩენილი კვარცხლბეკი, რომლის წარწერაში იხსენიება სტეფანოზი ძმა დემეტრესთან და ვაჟთან, ადარნერსესთან ერთად: „ესე ჯუარი ქრისტესი აღემართა სალოცველად სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსისა*, დემეტრე ვიპატოსისა*. ადარნერსე ვიპატოსისა. სულთა და ხორცთა მათთა მეოხად და ყოვლისა სახლისა მცველად“. ამავდროულად, სტეფანოზი აგრძელებდა მამის მიერ წამოწყებული ჯვრის ეკლესიის მშენებლობას, რომელიც ძირითადად, სწორედ სტეფანოზის ზეობაში აიგო.

ტაძრის აღმოსავლეთის ფასადზე, საკურთხევლის აფსიდთან* დატანებული სარკმელების ზემოთ მოცემულია სამსურათიანი კომპოზიცია ანუ ტრიპტიხი, რომლის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს ქრისტეს წინაშე მუხლმოყრილი სტეფანოზი. მაცხოვრის მარჯვენა ერისმთავარს თავზე ადევს. „ჯუარო მაცხოვრისაო, სტეფანოს ქართლისა პატრიკიოსი შეიწყალე“ – კვითხულობთ რელიეფის თანადროულ წარწერაში. მარჯვნივ – მიქაელ მთავარანგელოზის წინაშე დაჩოქილი დემეტრეა („წმიდაო მიქაელ მთავარანგელოზო. დემეტრე ვიპატოსისა მეოხ-ეყავ“), მარცხნივ – ადარნერსე ძითურთ, მსასოებელი გაბრიელ მთავარანგელოზისა („წმიდაო გაბრიელ მთავარანგელოზო, ადარნერსეს ვიპატოსისა, მეოხ-ეყავ“).

ამრიგად, ეკლესიის ფასადის წარწერაშიც იგივე ისტორიულ პირებს ვხედავთ, რომელნიც იხსენიებიან ჯვრის კვარცხლბეკის წარწერაში. პირველი

ადგილი აქაც უკავია სტეფანოზს – კომპოზიციის ცენტრში, მეორე – დემეტრეს მარჯვნივ, მესამე – ადარნერსეს, იგი მარცხნივაა ბარელიეფზე, მაგრამ, ეტყობა, ეკლესიის ფასადის წარწერები უფრო გვიანდელია. თუ ქვაჯვრის დამზადების დროს ყველანი ცოცხლები ჩანან, ეკლესიის რელიეფების გაკეთებისას სტეფანოზი გარდაცვლილი უნდა იყოს. ამაზე, ნაწილობრივ, მის მიმართ გამოყენებული ვედრების ფორმულა – „შეიწყალე“ მეტყველებს, განსხვავებით დემეტრესა და ადარნერსეს წარწერების – „მეოხ-ეყავ“-ისაგან. გამოსახულებაც ამ აზრს გვიმტკიცებს. სტეფანოზი შეწყალებულია, მაცხოვარს მის თავზე უდევს ხელი. ამგვარი შეხედულება კი შეიძლება ჰქონდეთ ცოცხლებს გარდაცვლილზე და რა თქმა უნდა, არა თავად ცოცხალ ადამიანს. ამასთან, ადარნერსე წარმოდგენილია ძითურთ. მემკვიდრის წარმოჩინება, ნიშნავს იმას, რომ ერისმთავარი ამ დროს უკვე ადარნერსეა და ტაძრის დასრულების შემდგომ, ცდილობს მამის ღვაწლის სათანადო დაფიქსირებას. ამრიგად, მცხეთის ჯვრის ეკლესია და სტეფანოზის სახელი განუყრელად უკავშირდებიან ერთმანეთს.

მაგრამ დავუბრუნდეთ „მოქცევაი ქართლისაის.“ როგორც ითქვა, მასში ჩვენთვის საინტერესო ერისმთავარზე საუბარი მხოლოდ ტექსტის შესაბამისი მონაკვეთის თავსა და ბოლოშია. რაც შეეხება შუა ნაწილს, აქ თხრობა მთლიანად ეძღვნება ბიზანტიის კეისრის – ჰერაკლეს ლაშქრობებს ქართლში. ცნობილია, რომ ირანზე პირველი გადამწყვეტი შეტევისათვის ჰერაკლემ აირჩია ამიერკავკასიის ფრონტი. ბრძოლები გაჩაღდა თბილისის მისადგომებთან. უპირველესად, ქრონისტი ყურადღებას სწორედ ბიზანტიელებისა და მათი მოკავშირე ხაზარების მიერ თბილისის ალყის ფაქტზე ამახვილებს. იგი მოგვითხრობს, რომ თავიდან, თბილისის ალება მოკავშირეებმა ვერ შეძლეს. მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, როცა ჰერაკლე უკვე ალბანეთში იყო გადასული, ხაზართა ხაკანმა ჯიბლუმ შეძლო დაემარცხებინა თბილისის გარნიზონი. ერთხანს ამის შემდეგ ბიზანტიელები აღარ გამოჩენილან ქართლში. ეს პერიოდი ჰერაკლეს გამოუყენებია ირანზე გადამწყვეტი დარტყმებისათვის. მხოლოდ შვიდი წლის მერე შემობრუნებულა ჰერაკლე. ამ დროისათვის, თბილისის სიონის მშენებლობა, დაწყებული ჯერ კიდევ სტეფანოზის მამის, გუარამის ზეობაში, დასრულებული ყოფილა, ჯვრის ეკლესიას კი, ცოტაღა ჰკლებია. სამხედრო საქმეში წარმატების მიღწევის შემდგომ ჰერაკლეს იდეოლოგიური შეტევისაკენ მიუმაართავს თავისი ძალისხმევა. ქართლის მოსახლეობის გამაზღვანებულ ნაწილს, ნათლისღება არ მოუსურვებია და ეკლესიაში ეშმაკობით, ქრისტიანებს შერეულა. ჰერაკლეს მახვილი აღუმაართავს ურჩებზე. რეპრესიებს „რჯულის განწმენდისათვის“ მასობრივი და და სასტიკი ხასიათი ჰქონია: „ეკლესიათა შინ მდინარენი სისხლისანი დიოდეს“.

როცა ქართლის ტერიტორიაზე ურთიერთს სამკვიდრო-სასიცოცხლო ეჭიდებოდა ორი მსოფლიო იმპერია, ორი სამყარო – დასავლეთი და აღმოსავლეთი, რა უნდა ექნა ამ დროს პატარა ქვეყნის ხელისუფალს? ბუნებრივია, ცდილიყო ომის ბედის საბოლოო გადაწყვეტამდე დაეკავებინა ორჭოფული, გაურკვეველი პოზიცია. ამიტომ ქრონისტის უჩვეულო ღუმილი

აღნიშნულ დრამატულ მოვლენებში სტეფანოზის რაიმე მონაწილეობაზე შემთხვევითი არ უნდა იყოს. ამ დროს, ქართლი, შეიძლება ითქვას, იმპერიათა ომის წინა ხაზს წარმოადგენდა. ერისმთავრის მოღვაწეობა, მართლაც, მხოლოდ იმაში ვლინდებოდა, რომ ღმერთს ტაძარს უგებდა, თუმცა პოლიტიკისაგან განზე მდგომი არ ყოფილა, ყოველივეს საქმის კურსში რომ იყო, ესეც უეჭველია: ჰერაკლეს ქართლიდან წასვლის შემდეგაც, მას ტახტზე ვხედავთ. აშკარაა, რომ სტეფანოზმა დროულად გააკეთა არჩევანი გამარჯვებული მხარის სასარგებლოდ.

ქრონიკის განხილული მონაკვეთი საგულისხმო ინფორმაციას გვაწვდის სტეფანოზის ზეობის ქრონოლოგიის თაობაზეც. ქრონიკისტი წლებს, მართალია, არ უთითებს, მაგრამ მსოფლიო ისტორიის კარგად ცნობილ მოვლენათა მის მიერ თანამიმდევრული განლაგება ცხადყოფს, რომ იგი სწორად ორიენტირებს ისტორიულ ეპოქაში. თბილისის ალყას 627-628 წლებში ჰქონდა ადგილი. ასე რომ, ხელმეორედ 635 წლისათვის მოსულა ჰერაკლე ქართლში. შესაბამისად, სტეფანოზის ზეობა VII ს. 20-30-იანი წლებით უნდა განვსაზღვროთ.

„ქართლის ცხოვრების“ საშუალებით კი, ჩვენთვის საცნაური ხდება სტეფანოზის საშინაო პოლიტიკის კიდევ ერთი მხარე – მისი ბრძოლა ქართლში ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისათვის. აღნიშნულის თაობაზე, დასახელებული ძეგლი პირდაპირ როდი გვაუწყებს, არამედ ირიბად. საქმე ისაა, რომ ჯუანშერიანი, ისტორიკოსი, რომელსაც ეკუთვნის „ქართლის ცხოვრების“ კრებული შესაბამისი მონაკვეთი, სტეფანოზს ახასიათებს მკვეთრად უარყოფითად, სახავს მას ურწმუნოდ, სპარსელთა მოკავშირედ: ჯვრის ეკლესიის მშენებლობაში მის მონაწილეობას სრულიად უარყოფს. სტეფანოზის საგარეო პოლიტიკის ამგვარი ინტერპრეტაცია, მისი ურწმუნობის მტკიცება, მით უმეტეს, ჯვრის მშენებლობაში მისი დამსახურების უარყოფა, ცხადია, აღნიშნული პოლიტიკური მოღვაწეობისადმი ისტორიკოსის ტენდენციური დამოკიდებულების შედეგია. მაგრამ ვინ არის ჯუანშერი? მას, საუკუნის შემდეგ მცხოვრებ პიროვნებას, რატომ უნდა დასჭირვებოდა ესოდენ მუქი ფერებით წარმოეჩინა სტეფანოზი?

ჯუანშერ ჯუანშერიანი, როგორც ეს მისივე თხზულებიდან ვიცით, ერთ-ერთია ქართლის ერისთავთაგან, რომელსაც ქვეყნის იმდროინდელმა დასუსტებულმა ხელისუფლებამ და კერძოდ, კი მეფე არჩილმა სამოხელეო მიწები „მკვიდრობით“ დაუმტკიცა. ისტორიკოსი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამგვარად, ე. ი. სამამულედ მიწებს ერისთავები უკვე სტეფანოზის მამის დროს ფლობდნენ; ასევე ყოფილა მისი მემკვიდრეების ზეობაშიც. სტეფანოზს მეფობის პრეტენზიაც ჰქონია. აქედან უნდა მომდინარეობდეს ჯუანშერის უარყოფითი დამოკიდებულებაც სტეფანოზისადმი. შესაძლოა, შემთხვევითი არც ისაა, რომ „მოქცევაი ქართლისაი“ სტეფანოზს ერისთავს უწოდებს, ჯუანშერი კი – ერისთავთა მთავარს. ქართლის წარჩინებულთა იმ ელიტარული წრისათვის, რომელსაც განეკუთვნებოდა ისტორიკოსი სტეფანოზი, მთელი ერის წინამძღვარი კი არაა, არამედ მხოლოდ ერისთავთა შორის პირველი.

ცენტრალურ ხელისუფლებასთან დაპირისპირებულ ძალებთან სტეფანოზის ბრძოლის შესახებ, აზრს გვიმტკიცებს წმ. შიო მღვიმელის სასწაულთა კრებულში შეტანილი ერთი ჰაგიოგრაფიული ნოველაც. ამ ძეგლის მიხედვით, სტეფანოზი იყო „კაცი ამპარტავან და ბოროტ“. იგი აღუშფოთებია იმას, რომ შიომღვიმეში მასზე უპირატესი პატივით კათალიკოსი მიუღიათ, რის გამოც ადრე შეწირული მიწები მონასტრისათვის წაურთმევეა. სტეფანოზის ღვთისმოყვარეობა, ნოველის ავტორის აზრით, მოჩვენებითი იყო. ეკლესიათა მშენებლობას მხოლოდ მას შემდეგ შესდგომია, რაც მონასტრის შევიწროებისათვის წმ. შიოს მისთვის სასჯელი მოუვლენია. აქაც ვხვდებით სტეფანოზის ქედმაღლულ განცხადებას იმის თაობაზე, რომ „მეფეთა საყდარზე* ზის“; აქაც ჩანს ერსმთავრის მიერ ხელისუფლების მონოპოლიზაციისათვის ბრძოლის ანარეკლი. მისთვის ეკლესია თავისი პოლიტიკური თუ ეკონომიკური გავლენით, ამ მხრივ, გამონაკლისი არ არის. ბრძოლის სირთულზე და ხანგრძლივობაზე პოლიტიკური ოპოზიციის სიძლიერე მეტყველებს. კერძოდ კი, ამ უკანასკნელის მიერ, ეს ვლინდება მართალია, მოგვიანებით, მაგრამ მაინც, საკუთარი ისტორიული კონცეფციის „ქართლის ცხოვრებაში“ დაფიქსირების ფაქტი.

სტეფანოზის მიერ, სამონეტო პოლიტიკის განხორციელებას მოწმობს ჩვენამდე მოღწეული დრაქმა – სასანური ვერცხლის ფულის ადგილობრივი მინაბადი. მონეტის შუბლზე, ასომთავრულით „სტეფანოზია“ წარწერილი, ზურგზე კი, იქ, სადაც ორიგინალურ მონეტებზე მაზდეანობის სიმბოლო ცეცხლია გამოსახული, ჯვარს ვხედავთ. ცხადია, ეს ის დროა, როცა ქართლი სასანური ირანისაგან უკვე თავისუფალია პოლიტიკურად, მაგრამ ეკონომიკური კავშირები ჯერ კიდევ ძლიერია და მიმოქცევაში მყოფი ძირითადი ფულადი მასა კვლავ ირანულია. ამიტომაც ორიგინალურ სამონეტო ტიპს ვერ ვხედავთ.

ასეთია, ჩვენს მიერ დანახული, ქართლის მეორე ერისმთავრის, სტეფანოზ I სახე.

ბოლოთქმა

წარმოდგენილი პორტრეტები გარდასულ ეპოქებში მცხოვრებ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ეკუთვნით. თითოეულმა მათგანმა ქართველი ხალხის ისტორიულ განვითარებას საკუთარი კვალი დააჩნია. ამიტომ, მათ შესახებ, შთამომავლობამ უნდა იცოდეს. წარსულთან აზრობრივი კონტაქტი, რის საშუალებასაც ისტორიული მეცნიერება, განსაკუთრებით კი, სწორედ ისტორიული მოთხრობის ბიოგრაფიული ფორმა იძლევა, სასიცოცხლოდ აუცილებელია ჩვენი ქვეყნის თანამედროვე განვითარებისათვის: „ისტორია სხვა არაა თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა, აწმყოსი წარსულისაგან“.

მეორეც, გარდასული სინამდვილის შეცნობა თავისთავად უაღრესად საინტერესოა და დადებითი მუხტის მომცემია პიროვნებისათვის.

ცნობილი ფრანგი ისტორიკოსის, მარკ ბლოკის სიტყვით, „ისტორია ადამიანთა შეხვედრებია საუკუნეებში.“ ეს მართლაც ასეა: საქმე ისაა, რომ ამგვარი „შეხვედრები“, ერთმანეთისაგან რაოდენ დაშორებული ეპოქის ადამიანებს არ უნდა ეხებოდეს სიტყვა, გადამწყვეტ როლს ასრულებს მომავლის ჩამოყალიბებაში.

განმატრებიტი ლექსიკონი *

ალბანეთი – ქვეყანა, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთიდან ემეზობლებოდა. მისი ასიმილაცია მოგვიანებით მოსული უცხო (თურქული მოდგმის) ხალხის მიერ მოხდა.

აპოგეა – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს მთვარის ორბიტის წერტილს, რომელიც ყველაზე მეტად არის დაშორებული დედამიწისაგან. გადატანითი მნიშვნელობით იგი ნიშნავს განვითარების უმაღლეს წერტილს. სწორედ ამ აზრით არის აქ ეს სიტყვა გამოყენებული.

არიან-ქართლი – ჩვენი აზრით, ასე იწოდებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში მდებარე ქართული სახელმწიფო.

არქეტიპი – თავდაპირველი ფორმა ანუ პირველსახე, რომლისაგან მომდინარეობს ყველა შემდგომი ვარიანტი.

აფსიდი – (აბსიდი) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს წრიული ან მრავალწახნაგოვანი მოხაზულობის გადახურვას. ტაძრის აფსიდში მოთავსებულია საკურთხევლის ნაწილი.

ბარბაროსები – ასე უწოდებდნენ ბერძნები ყველა არაბერძენს, უსვამდნენ რა ხაზს თავიანთ კულტურულ უპირატესობას.

გარნიის ციხე – გარნი, ისტორიული ციხე და ქალაქი დღევანდელი სომხეთის ჩრდილოეთ ნაწილში.

გუასპურაგანი (ვასპურაგანი) – სომხური სამთავრო.

დომესტიკოსი – მაღალი სამხედრო თანამდებობა ბიზანტიაში. ასე უწოდებდნენ კონსტანტინოპოლის გვარდიული ნაწილების მეთაურებს. დომესტიკოსი მთავარსარდალიც იყო.

ეპიგრაფიკა – მაგარ მასალაზე, ძირითადად ქვაზე ნაწერი ტექსტი.

ეპიკური – მომდინარეობს სიტყვიდან ეპოსი. ეს უკანასკნელი აღნიშნავს ხალხურ საგმირო სიმღერებს, თქმულებებს.

ვიპატოსი – ბიზანტიის სამეფო კარის საპატიო ტიტული.

თვინიერ – ძველი ქართული სიტყვაა, ახალქართულად შეესატყვისება გარეშე.

იზრახებოდა – ზრახვა, ლაპარაკი, ხმარება.

კალა – თბილისის დედა-ციხე.

კომსი – ხელმძღვანელი, მეთაური.

კრიპტოგრაფია – ეწოდება საიდუმლო ნიშნებით ჩაწერილ ტექსტს.

ლაკონიზმი – აზრის გამოთქმა მოკლედ და მკაფიოდ. ამ თვისებით განთქმულნი იყვნენ ძველი სპარტელები, პელოპონესის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილის – ლაკონიის მცხოვრებლები.

ნოვალისი – (1772-1801 წწ.) გერმანელი პოეტი და ფილოსოფოსი, ადრეული გერმანული რომანტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი.

პართია – სახელმწიფო ახლანდელი ირანის ტერიტორიაზე.

პატრიკიოსი – ბიზანტიის სამეფო კარის საპატიო ტიტული.

სთუელი – შემოდგომა.

საკრალური – ნიშნავს წმინდას. სივრცის საკრალიზაცია შესაბამისად მიუთითებს გარემოს წმინდად გააზრებაზე და შესაბამისად მის მოწყობაზე.

საპიტიახშო – ქართლის საერისთავოებს შორის ასე მხოლოდ ქვემო ქართლის საერისთავო იწოდებოდა, მისი მმართველი კი – პიტიახშად.

სარმატები – ეწოდებოდათ ირანულენოვან ტომებს, რომლებმაც ძვ.წ. III-II სს-ში აითვისეს ჩრდილო კავკასია.

საყდარი – ძველქართულად ნიშნავს ტახტს.

სივნიეთი – სომხური სამთავრო (იგივე „სიუნიკი“).

ურვილი – მწუხარე, შეჭირვებული.

უფალი – ძველ ქართულში გამოიყენებოდა არა მარტო ღმერთის მნიშვნელობით. იგი გამოიყენებოდა ძალაუფლების მქონე პიროვნების მიმართაც. ამ შემთხვევაში, აღნიშნული სიტყვა სწორედ ამ უკანასკნელი აზრით არის ნახმარი.

ხუასტავი – ალაფი.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები:

- მოქცევაი ქართლისაი. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I. ტექსტები გამოსცა ავტორთა კოლექტივმა ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბილისი, 1963.
- ქართლის ცხოვრება. I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა. თბილისი, 1955.
- ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ. ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა ა. გამყრელიძემ, თბილისი, 1973.
- დ. აბაშიძე, ორმეფობა ძველ ქართლში, ცისკარი, №11, 1988.
- გ. გიორგაძე, არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანი“? მნათობი №10, 1986.
- პ. ინგოროყვა, ძველი ქართული მატთანე „მოქცევაი ქართლისაი“ და ანტიკური იბერიის მეფეთა სია თხზ. 7 ტომად, 1978, ტ. IV.
- გ. მამულია, კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში. თბ., 1979.
- მ. ჩხარტიშვილი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები („ცხოვრებაი წმიდისა ნინოსის“). თბილისი, 1987.
- მ. ჩხარტიშვილი, „მარტვილობაი და მოთმინებაი წმიდისა ევსტათი მცხეთელისაი“. „ცხოვრებაი და მოქალაქობაი წმიდისა სერაპიონ ზარზმელისაი“ (წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა), თბილისი, 1994.
- მ. ჩხარტიშვილი, მცხეთის გალაგნის ბერძნული წარწერის (I ს.) ახალი ინტერპრეტაცია. ვარლამ ღონდუას ხსოვნისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბილისი, 1996.
- მ. ჩხარტიშვილი, „წმ. ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“ და VI-VIII სს საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხები. პოლემიკური ნარკვევი. თბილისი, 2005.
- კ. წერეთელი, შენიშვნები არმაზის ბილინგვის არამეულ ტექსტზე, თბილისი, 1992.